

ქვეყნის გზები



საქართველოს
მხარეთა
კავშირის
გაზეთი
№10 (258)
1-31 დეკემბერი
2017
ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავმჯდომარე

რევაზ მიშველაძე



ბოდიშს ქე გიხდით, ბატონო რეზო, ამ კვირა დღეს რო შეგანუხეთ, მარა თქვენს იქით გზა არ გვაქვს და თქვენ და ოტია თუ გვიშველით, თვარა კაცი არაა აქანა ჩვენი პატრონიო.

მეუბნება ქალაქის მერი. პატარა ტანის, მკვირცხლი ბოვში. არ იყო სხვათა შორის გლახა ბიჭი, მარა მერე ბოთლზე დაჯდომობის თამაში დეინყო და დოუსვეს ღარი. ქე გეცოდინება შენც.

ბიჭოს, რა გოუჭირდათ ამნაირი ამგენს ჩემი და ოტიას საშველად რო გოუხდათ საქმე. არ მატყუებდენ რაცხას, არ მიხიმა-ნონ რამე-მეთქი, ჩემთვის გვეიფიქრე.

საკაპული გელათში დავით აღმაშენებლის საფლავთან ფიცის დადებას აპირებს და სადღეგრძელო უნდა უთხრათ შენ და ოტიამო.

როდის აპირებს-მეთქი, ვკითხე ისე, დროის მოსაგებად, თვარა რა მნიშვნელობა ჰქონდა.

ზეგო, სამშაბათს, ოთხ საათზეო.

მოვასწრებთ მერე-მეთქი?

ეს შეკითხვა ნამეტანი სულელურად ჩათვალა და არაფერი მიპასუხა. სხვათა შორის არც მე მიმანია ჩემს შეკითხვებს შორის უკეთეს შეკითხვად.

შენ უნდა ნამყვე ხვალ წყალტუბოში ოტიასთან. მე არ მიცნობს და ვაი თუ, უარი მითხრასო.

გამომიარა მეორე დღეს და წვევით ოტიასთან.

შოფერს მანქანა ქვევით გავაჩერებინეთ.

ბოხოია კუდის ქიციანით შემოგვეგება. ვიძახეთ, ვიძახეთ, მარა არავინ გაგვაგონა.

შევიდეთ, ალბათ უკანა ოთახში მუშაობს-მეთქი.

ავნიე დაწვული მავთულის რგოლი თუ არა, ამოტრიალდა ჭიშკარი.

ავგაცვილა ბოხოიამ კიბეზე.

– ოტია! – გავძახე აივნის მიღმა პატარა ოთახს.

– რა გაყვირებს? – ტალავერის ფართო ფოთლებიდან თავი გამოყო მასპინძელმა.

ხელში სასხლავი უჭირავს, თავზე – სვაწური ქუდი, ბოლო ღილაკილომდე შეკრუ-

ლი ახალუხი აცვია. პირში ორმტკავლიანი მუნდშტუკი. ერთი სიტყვით ჩვეულებრივ ფორმაშია. ეჭვი არ არის, თავიდანვე გვიყურებდა.

ჩემს მომყოლს, ცოტა არ იყოს, მწყრა-ლად შეხედა.

– გაიცანი ოტია, ჩვენი ქალაქის მერი.

– რომელი ქალაქის? – ცერად გახედა.

– ქუთაისის.

– აპა, ქე მოსულა განკითხვის ადგილზე.

– რატომ, ბატონო ოტია? – ღიმილით

– კი მარა, რომელს მოგივიდათ თავში ამნაირი სისულელე, თქვენ ხვარ გადერიეთ, რამდენი ახალგამომცხვარ უფროსს მოეხუმტურება, დავით აღმაშენებელი უნდა ანუხით? – ოტიამ ჯერ მერს შეხედა, მერე მე.

– თვითონ დოუჩემებია, ასე უნდა ვენაო და მაგ საქმეზე მევედით შენთან, – ჩემი გაბზარული ხმა მევე გამიკვირდა.

– მერე მე რომელი დავით მეფის მდივან-ბეგი ვარ? – ოტიამ მუნდშტუკი გა-

დაფიცება ადმაშენებლის საფლავთან

ნოზა

ჰკითხა მერმა.

– შენ თვითონ არ იცი, ვითომ რატომ? რეზო რო არ მოგყოლოდა, არ ამოგიშვებდი ამ კიბეზე.

– რა დავაშავე ასეთი, ბატონო ოტია, – კიდევ ჰქონდა მისხალი იმედი მერს, რომ ოტია ეხუმრებოდა.

გამაგებინე ერთი, მერი ხარ თუ რაცხა ხარ, საით მიგყავთ, ბიჭო, თქვენ ე, ჩემი ქვეყანა. რავა დაანგრეთ, რავა მოსპეთ ყველაფერი. ნიკო ლორთქიფანიძე რო წერს, იყიდება საქართველოო, ეს ამბავი მონაგონია თქვენთან. იყიდება კი არა, გაიყიდა ყველაფერი.

– მაგაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა საქმეზე ვართ მოსული, ოტია, შენთან, რომ არ ჩავრეულიყავი, არ შეიძლე-ბოდა.

– ამაზე მეტი საქმე რაია, – ოტიამ მუნდშტუკი საფერფლეს გარდიგარდმო ჩამოაღო.

– ხვალ სააკაშვილს უნდა შევხვდეთ.

– აქანა არ შემეიყვანო, თვარა გადავხტები ფანჯრიდან, – შევატყვე არ ხუმრობდა.

– რასაა რო დაშლივინობს ზევით-ქვევით. ერთხელ შევხვდი მე მაგას სალორის ტყეში. დოუნე პატარა ფითილს, მიშაია, მე ვუთხარი. ხო შეგრა პარლამენტში კეტით შევარდნა. ახლა ცოტა დამშვიდდი, გადარეულები მე არ მაკლია საქართველოში-მეთქი.

– რა გიპასუხათ? – მერმა ჰკითხა.

– რა უნდა ეპასუხა, იცინის, მისებურად, ჭიხვინ-ჭიხვინით.

– ბატონო ოტია, ხვალ გელათში დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცს დადებს სააკაშვილი, რომ ნაღმა წაიყვანს საქართველოს, – ინიციატივა აიღო ხელში მერმა.

აფუილა და ბოლს თვალი ააყოლა.

მე და შენ კვერი უნდა დავუკრათ ამ ფიცს ხვალ, ოტია.

რა კვერი?

ყანით პრეზიდენტის სადღეგრძელო უნდა დალიოთ შენ და რეზომ, ბატონო ოტია, ა, ესაა სულ, – როგორც იქნა ამოღერდა მერმა.

მძიმე და უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

ოტიამ „დევის მუნდშტუკს“ დამწვარი სიგარეტი მიაცილა, ახალუხის ჯიბიდან სხვა ამოიღო და როცა კარგად მოარგო, ასანთით მოუკიდა.

– რაცხა ცოდვაში მხვევთ თქვენ ჩემი ერის წინაშე, გაამართლებს. მერე მიშაია? გჯერათ თქვენ?

დასტური ჩემს თავზე ვერ ვვიღე და მერს შევხედე.

– გაამართლებს, ბატონო ოტია, გაამართლებს, ჩვენ რომ გვილაპატოს, დავით აღმაშენებელს არ უღალატებს, – მთლად ასპროცენტიანი დაჯერება არც მერის ხმაში იგრძნობოდა.

ტყვილა არ დამალოციოთ იცოდე, სირცხვილი არ მაჭამოთ, – მერე მე შემხედა – შენ გენდობი, რეზოია, იცოდე, მეტს არავის.

ეს უკვე თანხმობას ნიშნავდა.

სამშაბათს, პირველ საათზე, მერმა ჩოხა-ახალუხში გამონყობილები მე და ოტია გელათის მონასტრის აღმართზე ჩამოგვსვა. მხარზე დახვეულ ნოხგადებულ ორი ბიჭი დავგანახა, ხელში ორი ყანნი შემოგვარჩია და გვითხრა – მეო, პრეზიდენტს ზესტაფონში უნდა დავხვდეთ, ამ ნოხიან ბიჭებს მიყევითო, აღმაშენებლის საფლავთან ესენი ნოხს გაშლიანო, თქვენ ყანნებს ღვინით გაგივსებენ და პრეზიდენ-

სადღეისო ლექსი!

რეზო სტურუა

ვიმპით იმას...

ჩანს, აშკარად,
გათამამდა
ემშაკი,
ჩვენი ძილით
თუ ხანმოკლე

ნათვლემით,

ამიტომაც,
არვინ იცის
ხვალ თუ ზეგ
ვის ეზოსთან
დაიჩოქებს

აქლემი.

ვეძებთ მკვლელს და
ველტვით შურის
ძიებას,
ვასამართლებთ,
თითქოს ჩვენ ვართ
მართლები,
ვიმპით იმას,
რომ კომფორტის
ძებნაში,
სათნობას
არ დავუნთეთ
სანთელი.
იმ უბედურს,
ახლა მკვლელი რომ ქვია,
ათასობით
ქურაში დგას
მისთანა,
მე, შენ და სხვას
მეგობარს თუ ახლობელს,
ჩვენ გვეჭირა
ხელში იმ დღეს
ის დანა.

04.12.2017

ტი რომ ფიცს დადებს, ორივემ თქვენებურად, ერთად არა, ცალ-ცალკე დალოცვ-თო.

ჩაჯდა და ზესტაფონისკენ გაგრიალდა. უჟამური ამინდია.

ჟინყლაუს.

მიუყვებიან აღმართს, მარა როგორც შევატყვე, ქვევით უფრო მეტი ჩამოდის, ვიდრე ზევით ადის. როდის მოასწრო ამ ხალხმა მონასტერში ასვლა გამოცანად დარჩა ჩემთვის.

დევიქანცეთ, მუხლები მეკეცება.

ოტიას გახედე. ოტია ქეა ყინჩად.

გზაში დაცვამ სამჯერ გავვისინჯა ცარიელი ყანნები. ერთმა ყანნებს წამახულ ნვერებზე ხელი მოუსვა, მაინც, ყოველ შემთხვევისათვის. დაცვის ცნობისმოყვარეობა იქამდე მივიდა, რომ ნოხიც გაგვაშლევინეს.

შევატყვე, დაცვის გონიერი ბიჭები, როგორც გიჟებს ისე გვიყურებდნენ.

▶ 1 ბმ.

ავალნიეთ რავარც იქნა. გაგშალეთ ნოხი, გაგვივსეს ღვინით ყანწები და ყელ-მოღერებულები ვდგავართ პრეზიდენტის მოლოდინში. ოტია მიჩვეულია და მე ჩოხაში სული მე-ხუთება. გევიდა ერთი საათი... მეორე... პრეზიდენტი არ მოდის. რავარი დასაკავებელია საესე ყანწი ორი

საათი. მკლავები ჩამონყვეტაზე გვაქვს. ოტია, - ვეუბნები, - დავლიოთ ეს ყანწები და რო მოვა, გაგვივსებენ, აბა, რას იზამენ-მეთქი. არ ქნა ოტიამ. ამასობაში ჩოჩქოლი ატყდა. შემოკვივდნენ შავფორმიანები. ჩვენ ჩვენი ნოხიან-ყანწებიანად ქე მიგვჭირხნეს კედელთან. ვის ახსოვხარ, ვის დაეკარგე.

—სიტყვა გვაქვს სათქმელი! — ყურში ჩაე-ძახე ვილაცას, მარა ყურადღება არ მომაქცია. შემოვარდა სააკაშვილი, შემოყვა დაფეთებული ნახირივით თავისი ამაღა, მივარდა დავით აღმაშენებლის საფლავის ქვას. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, გულზე ხელი მიიღო და რაღაც ნაიბუტუტა. მე რე წამოვარდა და გასასვლელისკენ გაიქცა. ოტიას ვერ ვხედავ. წამიც და კრახით დამთავრდება ჩემი და ოტიას ეპოპეა.

წინმომდგარი ზურგები გაწევი-გამოწევი, ნახევრად ცარიელი ყანწი შევმართე და პრეზიდენტის ზურგს დავადევნე: — გაგიმარჯოს გამჩენმა! მეტი არ იქნა ჩემი მტერი იმას არ გაუგონია. ყანწები მე და ოტიამ გამოვიყოლეთ (სხვათა შორის არც მეორე დღეს მოუკითხავთ წასალეზად). ხალიჩა არ ვიცი სად წაიღეს. *თბილისი, 2017 წ.*

ზადრი ცხადამე

ქართველებისაგან შევიწროებული ქართული რა პერსპექტივას არ გვი-სახავს მიზნად. გავერანდა სიტყვის გამოყენების ნიუანსი. ვისაც უნდა, ისე წერს. არადა ქართული ის ფენო-მენია, რომელსაც სათუთი მოფრთხი-ლება უნდა, თუნდაც იმ დროს, როცა წერას არც აპირებ, მხოლოდ ფიქრობ. „ფიქრი არა მარტო ნისლია მთებისა, არამედ ტყის სიდუმლის მკურნალი“ (გაყა). ფიქრთგასართველად მხო-ლოდ ერთეულებს თუ სცალიათ, ათე-ულები, ასეულები და ათასეულები კი ენას, როგორც უნდა, ისე ამახინჯებს. ასე რომ, თუ ჩვენს მსჯელობას გან-ვავითარებთ, შეიძლება ითქვას, ენა ცუდ დღეშია. მას ავიწროებს ყველა — საქართველოს პრეზიდენტიდან დანყებული მეფოვით და ახლად გამომცხვარი ჟურნალისტებით დამ-თავრებული. დღეს მშობლიურ ენას ყველა ეურჩება. სულ მალე ერს წინ დედაენის დღე — 14 აპრილი დაგვიდ-გა. სამწუხაროდ, საამისოდ მხოლოდ 1 არხისა და ინტერნეტის გამოხმაურე-ბაღა შეგვრჩა ხელთ.

ლამენტში არც რუსთველოლოგები გვყავს და არც ფილოლოგები, ეს კი რაზეც მეტყველებს გასაგებია. მარ-ტო რუსთაველის პოემის სახელი იცოდე, არაფერს ნიშნავს. აი, ასეთი ხელხვაიანი შეხვდა მთავრობა შოთა

ლი გამოცემაც, რომელშიც ასახულია ავტორის მიერ შენიშნული რუსთე-ლისეული სტროფების უტყუარობა. ამ საიუბილეო გამოცემის სულისჩამ-დგმელი სტუ-ს რექტორი, ბატონი არჩილ ფრანგიშვილი იყო. დიდი მად-

კრებულები, რომელთაც ღრმა კვა-ლი დატოვეს „რუსთველოლოგიაში“, ზოგი გამოჩინების გარდა. ჩვენ, მაგალითად, აქ ვერ ვიხილეთ კრე-ბულები გ. გაბუნიასი („რასა გითხრა, მომისმინე“... სიბრძნე შოთა რუსთა-ველისა. კრებული შეადგინა. წინათქ-მა, ეპილოგი, შენიშვნები. გამოკრე-ბილი ლექსიკონი და ბიბლიოგრაფია დაურთო გ. გაბუნია, თბ., 2006, რო-მელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 160 წლის-თავს ეძღვნება) და ჩვენი კოლეგის ტოპონიმისტ უ. სახლხუციშვილის სამეცნიერო სტატია, „მნიგნობარში“ გამოქვეყნებული, შოთა რუსთავე-ლის ბიოგრაფიის შესახებ. ამ წერილ-ში ავტორი დაბეჯითებით გვიხსნის, რომ პოეტი თბილისთან ახლოს მდე-ბარე ქალაქ რუსთავიდან იყო და არა მესხეთის რუსთავიდან. და ამასთა-ნავე დიდი შოთა აუცილებლად ეპის-კოპოსი უნდა ყოფილიყო, რადგან საეპისკოპოსო მხოლოდ ქ. რუსთავს ჰქონდა. ეს საკითხები წიგნის ავტორს იქვე მოკლედ სკრუპულოზურად აქვს გადმოცემული, კარგი იქნებოდა ეს წერილიც იქვე მიმოეხილა.

მაკვლიერი

რუსთაველის იუბილეს. აქვე ერთგ-ვარი მადლიერებით გვინდა აღვნიშ-ნოთ ერთი ფაქტი: როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს მწე-რალთა კავშირმა არა ერთი წერილით მიმართა მინისტრთა კაბინეტს და კულტურის სამინისტროს რუსთავე-ლის იუბილის ჩატარებაში ხელშეწყო-ბის თაობაზე, მაგრამ ორივე უწყებამ დუმით უპასუხა.

ლობა მას. საიუბილეო გამოცემას-თან დაკავშირებით მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ. კარგი იქნებოდა, თუ ამ გამოცემას მ. თავდიშვილისეული მოხსენება თან დაერთებოდა, რათა გამოცემის მიზანიც სრულყოფილად ახსნილი იქნებოდა. და ბოლოს: სესი-აზე გამოითქვა სტუ-ს ვიცე-რექტო-რის ბატონ ზ. გასიტაშვილის სურვი-ლი, ნაკითხულ მოხსენებათა ცალკე კრებულად გამოცემისა. ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ასეც მოხდება.

აკად. ა. არაბულის წიგნით (ა. არა-ბული არწ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დი-რექტორი და იმავდროულად საქარ-თველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „რუსთაველის კომიტეტის“ სწავლული მდივანი გახლავთ...), რო-მელიც მთელი სისავესით წარმოგიდ-გენს მეოცე საუკუნის „რუსთველო-ლოგიას“, არაფრით ჩამოუვარდება არცერთ რუსთველოლოგიურ ნაშ-რომს. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი მაკლიერი-მკვლევარები გვყავნან, მით უფრო იმ ფონზე, როცა მთავრო-ბა და საზოგადოება, სამწუხაროდ, სხვადასხვა პლატფორმაზე დგას.

რუსთაველის დარი არათუ პიროვ-ნებები, სახელმწიფოებაც კი იშვი-ათია. მაგალითად, მე-20 საუკუნის მიწურულს თურქებმა აღნიშნეს თა-ვიანთი სახელმწიფოებრიობის 700 წლისთავი. ჩვენ კი მსოფლიოს პირვე-ლი პოეტი დავივიწყეთ?

2. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავ-შირებით ერთგვარ სასიამოვნო ფაქ-ტად მიგვაჩნია კიდევ ერთი სიახლე. 2016 წელს „ციცინათელას“ ბიბლი-ოთეკის სერიით გამოიცა მონოგრა-ფია ავთანდილ არაბულისა „ვეფხის-ტყაოსნის თავგადასავალი“ (სერიის იდეის და პროექტის ავტორი დავით ბრეგაძე, რედაქტორი პარმენ მარგვე-ლაშვილი, რედაქტორ-გამომცემელი აკაკი ბრეგაძე). „ციცინათელას“ ბიბ-ლიოთეკამ დაარსებიდანვე დიდებუ-ლად ქართულ საქმეს მოჰკიდა ხელი, რაც ფრიად მისასალმებელია. სწო-რედ იგი და წიგნის ავტორი აკად. ა. არაბული გამოეხმაურნენ შოთა რუს-თაველის იუბილეს, თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, იუბილე საერთოდ არც გამართულა. ბატონი ავთანდილ არაბულის წიგნში ძირითადად გად-მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ მეოცე საუკუნის, უფრო ბოლო 50 წლეულის კვლევის მეცნიერული პერიპეტიები. წიგნში იხილავთ: სად მთავრდება ის-ტორია და სად იწყება ლეგენდა. აქვეა ხალხის სიყვარულით ნაგვირისტები „ვეფხისტყაოსნის“ იდეური და კომპო-ზიციური ქარაგმა და გარდამქმნელთა ნამოღვანარი და ზრუნვა „ვეფხისტ-ყაოსნის“ ტექსტის დასადგენად, ასევე მკვიდრი კავშირი წარსულსა და მომ-ვალს შორის, და სიბრძნე, რომელიც თანამდევია საუკუნოდ. წიგნს თან ახლავს ავტორისეული გამოკრებილი ბიბლიოგრაფია.

და კიდევ ერთი: სად არის განათლე-ბისა და მეცნიერების მინისტრი, ან ვიცე-პრემიერი, ან პრემიერ-მინისტ-რი? რატომ არ აღადგინეს ივანე ჯა-ვახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „რუსთველის კაბი-ნეტი“? ვის შეეჩვიოთ, როცა „რუს-თაველი მკვდარია“? ან „სად არის თოვლი შარშანწინდელი? როგორ ფიქრობთ, ამ საქმეს მხოლოდ გადა-წერე „ვეფხისტყაოსანი“ უშველის?

1. შარშან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა სამეცნიერო კონ-ფერენცია, რომელსაც ხელმძღვა-ნელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი რ. მიშველაძე და თვით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სესიაზე ნაკითხული მოხსენებები მრავალფე-როვანი იყო. მკითხველსა და მსმე-ნელს არ დაავიწყდება ბატონების: პროფ. რ. მიშველაძის, ს. სიგუას, მ. თავდიშვილის, ი. კვესელევას, დ. იაკობიძის და სხვათა ღირებული ცდები — თავთავიანთ დონეზე წარმო-ეჩინათ შოთა რუსთაველის სიდიადე. იყო მოხსენების ნაუკითხაობის ორი-ოდე შემთხვევაც. ძნელია განსაჯო ისინი, რატომ თქვეს უარი. ნაკითხუ-ლი მოხსენებების სიღრმემ აჩვენა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მეცნიერული მუშაობა არ ჩამკვდარა, რომ კიდევ გვყავნან რუსთველოლოგები. დიახ, ეს მოხსენებლები არაფრით ჩამო-უვარდებოდნენ „ნაფიც“ რუსთველო-ლოგებს. აქვე ხაზგასასმელია კიდევ ერთი: შოთა რუსთაველის საიუბი-ლეო დღეებს მიეძღვნა პროფ. მურმან თავდიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ახა-

ნუგზარ წერეთელი

მარადიული სირცხვილი

მერამდენედ მრცხვენია უკვე ველარ ვითვლი, ეტლს ორიოდ ცხენიანს მოსდებია ფითრი. ხეებს გზისპირ გაბმულებს გასდევთ ჩემი ზარი, უკან ველარ გაბრუნებს სარკინეთის ქარი. ნალვლიანად დაგყურებს დანისლული ჯვარი, მცხეთას ძალღებს აყმუვლებს არეული დარი. საით მიგჩქარება, დიდზე დიდო კაცო, არ მიგვარონ ქარებმა ბოროტებას ნაცნობს. ზედაზენის კედლიდან წვება დიდი ჩერო, მეუღლეც ხომ გვერდიდან არ ნავიდეთ ჯერო, შენ კი მიძიმე ხვედრისკენ მაინც მიიჩქარი, შორს ქედებმა შედრიკეს ჩრდილოეთის კარი. შენი ჯიშო, ჯილაგი, მოსაკლავად გელის, ქვითაც ვერვინ მილაგმა შხამიანი გველი. შენზე ხელს თუ ასწევდა მხოლოდ ქვეყნის მტერი, მაინც რჩება ასწლებთან უნდობლობის მტვერი. ველარ გაერთიანდა ქართველების მოდგმა, გზასთან შავთან, ქვიანთან კვლავ გრძელდება მოთქმა. ვინ „ბერდენკას“ ამზადებს, ვინ „ვინტოვიტი“ გზვერავს, მათ კაცებად გაზრდამდე უფსკრულია ჯერაც. არც სინდისი ადარდებთ, არც ნყევლა და კრულვა, ასე გაძლოს სადამდე საქართველოს სულმა. სულმა მრავალტანჯულმა ხმლებით დაჩეხილმა გეძალბება სხვა რჯული, ამოგავსო მლიღმა. მტრების სათვალთვალო ხარ, გაჭირვება გერგო, მწუხარებამ გამოგხრა, შავი მუხის ქერქო. არაფერი არ მოჩანს ჯერაც საიმედო, სიხარული გამოგჩრა, ფატალური ბედო. ვინ ჩასაფრდა ბუჩქებთან პირუტყვული სახით, სისხლი კი არ უჩქეფდათ, ძარღვი ედგათ რახი. შენ კი უცებ ერვევი, გაფიქრებდა რაცო, ნუ მიდიხარ, შეჩერდი, დიდზე დიდო კაცო. შენმა სიტყვამ იკურთხოს, გზას მიყვები ქვიანს, ჩქარა, თორემ იქუხებს ველურების ტყვია.



სხვისი ძირის გამოთხრის დაჰყოლიათ ნიჭი, საიდანლა გამოტყვრა „იმერელი ბიჭი“. რას ერჩოდა იმერეთს გამირთა, ზრდილთა მხარეს, მისდევს დროის ქიმერებს, რაც კი მტრებმა თხარეს. გული ჯერაც ცხელია, ნანიბურებს ითვლის, მერამდენედ მრცხვენია უკვე ველარც ვითვლი. ლელვა მიპყრობს მაშინვე, კაცის ბნელი ბედის, მაშფოთებს და მაშინებს ნინამურის ხედი. სხვა ან რალა შემხვდება ამ არეულ დღიანს, იქუხებს და მე მხვდება ვერაგების ტყვია. ტყვიით ორად იპობა ქართველების შუბლი, ღმერთო, მოგვეც მშვიდობა და ნყალობა უფლის. მე კი ისევ მრცხვენია, გული იმედს ხარჯავს, დღე ისეთი ცხელია, თითქოს აჩენს ხანძარს. მივდივარ და მიმყვება კვლავ სიმწარე მარცხის, გზები სამად იყოფა და მივდივარ მარცხნივ.

იუნკრები

მარო მაყაშვილის, შალვა ერისთავის ხსოვნას

სისხლის ფერები ეკრა მიდამოს, ხალხი ხედავდა, რასაც ველოდით, ჰე, იუნკრებო, თქვე უკვდავებო, დაცემულებო საქართველოსთვის. დღეს თქვენი ხსოვნის პატივსაცემად დგას ობელისკთან ბევრი ტურისტო, ჰე, იუნკრებო, თქვენი დაცემა იყო სიკვდილი ჩვენი გულისთვის. ჰე, იუნკრებო, გადაგვარჩინეთ, ერკინებოდით ერთი ათასებს, თავისდადების ძალა გვაჩვენეთ, რაც საუკუნოდ უნდა დაფასდეს. ჰე, იუნკრებო, კოჯრის ფერდობებს იცავდით წავკის-ტაბახმელიანს, მთელი ცხოვრება მიტომ გენდობით, რომ ქედი ვერვინ დაგახრევინათ. ჰე, იუნკრებო, თქვენი გამირობით, მამული მტერთან აღარ დაზავდა, თუმცა აღსრულდა მტრების პირობა, ქვეყანა ჩაკლა რუხმა მაზარამ.

მდგომარეობა

სიცხემ იმძლავრა, მთებზე უკვე დადნა ივლისი, მწვანე ფერდობებს გადაეკრა ყვითელი ფერი, მორჩა სეზონი ტკივილებით სავსე ღვინის სმის, არეულობა დაწყებულა ერის და ბერის. ირგვლივ ყოველი დღეებით კარგავს ინტერესს, როგორც სულ მალე ეს ზაფხულიც დაკარგავს ფერებს, მტერი მომდგარა კართან ახლოს, გზებსაც გვიმტვერებს, რომ ურდოები ნარღვნასავით დაგვეცენ მერე. სახნავს და სათესს ის გვიოხრებს, ვინც დღესაც რუსობს, საკუთარს გვართმევს, სიბევრითაც ავად თვალთმაქცობს, დღისით და მზისით გვედავება კოდროს თუ თრუსოს, ო, რამდენს უძლებ, ხალხო მცირევე, ხალხო მამაცო. თითქმის არასდროს არ გვეყოლია ქვეყნად პატრონი, თითქმის არასდროს არ გვეყოლია ქვეყნად დამხმარე, მტერთან მარტონი მოტყუებით ხშირად დაგვტოვეს და მოლაღატე ტოტლებენი დღესაც ხარხარებს. ერეკლე კვლავაც შეატოვეს ველურთა ურდოს, ისე უნდოდათ ქართველების ერთად გაჟლეტა, ვაი მათ, ვინაც დღემდე დარჩა მხეცი და უნდო, სხვისი სიცოცხლის ვისაც ახლაც ძალუძს დაშრეტა. უნდა გავუძლოთ, თუმცა არსად მოჩანს ერთობა, უნდა შევერთდეთ, საქართველო არის მთავარი, სამიშად მოჩანს საუკუნის ცივი ფერდობი და უფსკრულისკენ მისრიალებს ბევრი სავალი.

გახსენება 70 წლის შემდეგ

ებრაელების კვარტალი ცხინვალის ცენტრის გვერდით, წინ მწვანე გოლიათივით მოჩანს ზღუდერის ფერდი. სახლები რიგით მიჯრილან ძველი თბილისის დარად და ახლობლობა კაცივით დადის კარიდან კარად. შორს თოვლიანი ქედები იფენენ ვერცხლის დროშებს, ვესაუბრები კლასიკებს გაბრიელსა და მოშეს. ზემიცი არის, შაბათიც, ვსინჯავთ ხრამუნა მაცას, ამ ბიჭებს ორ ქვეყანაში შემდეგში ცნობენ კაცად. ფრთა სიზარმაცის გვეხება ისე ვუყურებთ შაბათს, ცხინვალის მიყრილ-მოყრილი ჯერ ისევ მოგავს დაბას. ვით საჩხერეს თუ შორაპანს უჩანს იერი დაბის,

ჯერ კიდევ უკვირთ გოგონა, ჩავლილი მოკლე კაბით. ველოსიპედით დაქრიან, რომ დადებია ფასი და ოღრო-ჩოღრო ქუჩებით ქრება იმედი ტრასის. თითქოს გამქრალა ქურდობა, არ იკეტება კარი, ჰაერს ეხება სურნელი ქართული მთის და ბარის. უხვად ჩამოაქვს უანგზადი მალალ მთებიდან ლიახვს და მთების ძალა მტკვრისაკენ შესაერთებლად მიაქვს. გუჯაბაურის ბალები დგანან ქალაქის კართან, უძველეს ქართულ მინაზე ღმერთი იბერტყავს კალთას. მდინარესავით შეერთვის თამარაშენი ცხინვალს, შორს მთები აღმასებოვით მზეზე ინყებენ ბრწყინვას. გლეხივით მოაქვთ დოვლათი აჩაბეთსა და ერედვს, ცით მოფენილი ცისკარი ჭავლივით აჩენს ფერებს. ათეულ წლებს წინანდელს ახლა ვიგონებ ცხინვალს, მიტოვებს დარდს და სინანულს შორეულ დღეთა ხილვა. ირგვლივ ვაზიც და ბალებიც ეკუთვნის მშრომელ ქართველს, ახლა რომ რუსი მოვარდა და ყაჩაღივით გვართმევს. გადაფარვია მიმწუხრი თამარაშენს და არცევს, გადამწვარ ხეხილს ჩონჩხივით ქარიც კი ველარ არწევს. რა იქნებ, ჩემო მამულო, სიბევრით დანაჯაბნო, ნატვრისთვალისვით წარგტაცეს ქართული სამაჩაბლო. ერთმევა ხიბლი ყოფილი სამაჩაბლოს და ცხინვალს, ვისაც არასდროს ჩვეოდა დიდი წარსულის კილვა. ქალაქის კართან ზღუდერი ჩანს, ვით ბაკანი კუსი და მოედანზე „პარადებს“ ისე იბარებს რუსი.

ისევ აღარ

აღარ მხიბლავს, აღარ მართობს, აქ რომ ლურჯი ცა იყო ისე უცებ გაქრა მარტი, თითქოს ქარმა წაიღო. აღარ მხიბლავს სიმწვანე და მზის სხივებად შეკონვა, ვინც სიცოცხლეს მიმწარებდა მე მოყვასი მეგონა. აღარ მჯერა სამყაროსი, ვისთვის სულიც შევძარი, ყელს მიბმული ავგაროზი თურმე იყო მეძავის. აღარ მავსებს, აღარ მითრევს, ამ დღეების დინება და დავდივარ ქვეყნად, ვიდრე მალლა ღმერთმა ინება. სიცხე ბინდთან ინყებს კლებას, აღარ მსერავს ხმალივით და ცხოვრებაც ჩუმად ქრება მოცახცახე ალივით.

ნიგნი ჯაროქმაყ საქაროვკოხუ

რეზო აღამია



ღვთიურ მოძღვრებათა საპირისპიროდ, სიკეთესთან ერთად აღამიანს ახასიათებს არაერთი სატანური სენი. ჯერ კიდევ ბორცავს კაცობრიობა.

მაცხოვარი, იესო ქრისტე, ერთხელ აწამეს, უსულგულო უგონობმა და ჯვარს აცვეს. მეორე დღეს გარდამოხსნის შემდგომ, აკლდამაში სუდარაშემოხვეული გადაასვენეს. იმ ღამესვე უფლის ნებით აღსდგა და მამის გვერდით დაბრძანდა: ჩვენ კი დაგვიტოვა ღვთიური სწავლებანი, მაგრამ...

პლანეტის სირცხვილიდ მიმჩნია, რომ საქართველო მუდმივად ჯვარცმული და წაღებულია.

რატომ, უზენაესო!

სადა ხარ ამ უბედურ შემთხვევაში!,

ნუთუ „ათი მცნება“, მხოლოდ აღამიანური აზროვნებაა? რატომ ვერ შევიგნეთ, რომ იგი ჩვენზე ბევრად ამაღლებული და ღვთიურია: ის ხომ სინამდვილეში უხილავი ზეციური, სულიერ-ზნობრივობით ყოველთა განმკურნელი კანონმდებელია.

გაკვირვებელი გეკითხებით, საიდან მოდის კაცთაშორის დაუსრულებელი მტრობა და ურთიერთსიძულვილი?

მიგმართავ გონებაზეზღუდულ მცირედ მორწმუნეებს: აუცილებელია ჩვენს სათაყვანებელ ღმერთთან ერთად დედამიწის ნებისმიერ აღმარებლობების, გონიერი თავშეკავებით მორიდებით მივუახლოვდეთ და პატივი დავდეთ. აკი ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის. სხვა ნებისმიერიც გიყვარდეს შენი თავივითო. (პატივს უნდა სცემდეო) აღამიანებო, ღვთისასიერონო, ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტებას უნდა ვეზიაროთ და საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ სიკეთეს და ბოროტებას გზავნის კოსმოსური სივრცებიდან მხოლოდ განსხვავებული პლანეტები, მათ სამყაროსეული ძალის წინაშე, ყოველი რელიგიური მოძღვრებანი, რაც გინდ ჰუმანიზრობათაც გამოირჩეოდნენ, მაინც აკვინს ბავშვით უძღურნია.

მეგობრებო, ეს უკვე ქვეყნური უსამელობაა, რისი მეშვეობითაც ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოების სამშობლოც იტანჯება.

მშობლიურ ქვეყნის ულოგიკო თრგუნვასა და თითქმის აუტანელი მომავლის გარდუვალობაზე გვმოძღვრავს და მწარედ გვაფრთხილებს დიდი მწერალი, თანამედროვე კლასიკოსი, რევან მიშველაძე თემატურად და მხატვრულად მიმზიდველ ახალ რომანში, „წამება“.

კვიტხულობ ნაწარმოებს და ვფიქრობ, ნუ დაგებრალბე სარწმუნოებათა ურთიერთგაურკვეველობას აღამიანთა სიღარქეს და განზე დგომისა... აქ უფრო მიუწვდომელი ვარსკვლავების ურთულეს მოვლენებთან გვაქვს საქმე. ყოველ ჩვენთაგანმა რელიგიათა მორჩილებითი გავლენის მეოხებით უნდა გამოვიმუშაოთ, ბოროტ ძალათა მიერ მონამღლულ და გადაგვარებულ ხალხს როგორ ვუმკურნალოთ, რითი და რა სახის საშუალებებით დავიცვათ მათგან თავი და ქვეყანა.

როგორც მოგახსენეთ, რელიგიებში მრავალი კეთილი, ცხოვრებისეული და ბრძნული დარიგებება, რითაც უნდა გამოვავსახალით და აღვიდგინოთ ეროვნული უნატიფესი ძველისძველი გენეტიკა.

განა სათაყვანებელი, სულიერ გონებრივი წმინდა გულითადი და მაღალზნობრივი თვისება არ არის ურთიერთ „მიტევაბა“? ამ ფორმის უფლისეული ქმედება, ყოველ ჩვენთაგანს თუ გვექნება, ზეენარულად წარმართება ქვეყნის მომავლის საქმე, ურთიერთობა და ცხოვრება. ხოლო ზოგ ზედმეტად ფიცხ პიროვნებათა მიუტეველობამ ბევრი სულიერი ზიანი მიაყენა სიმართლის მთქმელ და გონიერად დამრიგებელ ახალი უნიკალური რომანის შემქმნელ დიდ მაცეტროსაც. ნუთუ ძმები ვერ გრძნობენ, ამით ლახვარს რომ სცემენ ქართულ ხელოვნებას და თანამედროვე ლიტერატურას. ფილოსოფოსთ, ბრძენ ხალხთ და ღირსეულ ხელოვნებათა მინც რა მოგივიათ, გამღიზიანებელი ხასიათებით რომ ძალოვნებენ თქვენგან. თავადვე გავანულოთ, მეგობრებო, ამდაგვარი შეუფერებელი სულიერი მოძრაობანი. ვაჟკაცურად ჩავახშოთ ჩვენში ეშმაკეული ვარსკვლავის სხივთ ქმედებანი. რა თქმა უნდა, კეთილსინჯოსანი მინათობლის უშუალო შუქთ მეოხებით. ასევე აღამიანური და ზებუნებრივი საღი გონებრივი თვისება რესურსებით, რომელთა უმხინჯესი გრძნობებისაგან საუკუნეებია იტანჯება საქართველო.

როგორც მოსაზღვრე მეზობლებისაგან, ასევე მისი ღვიძლი შვილებისაგან.

ამდაგვარ კოსმოსურ და მიწიერ ტკივილზე გვიყვება სრულიად

მართალ რომანში ჩვენი დიდი მაცეტრო.

ხავერდოვანი ხასხასა თხრობის ლიტერატურულ-მეცნიერული ფორმით, ორიგინალური კომპოზიციით და წერის უბრალოებით ამაღლებული რომანი ერის უზუსტესი მემატანედაა წარმოჩენილი.

მოსვენება დაკარგული და ძილგატახილი ნერვებზემძრული მწერალი გვიყვება სევდით, ცისკენ მიმართული გოდებით და განგაშის ზარის ხმით. ეს ხმა მკაფიოდ ისმის ყველგან: მრავალხმიანია მისგან დაკარული დედა ეკლესიის და სამშობლოს სამრეკლოსეული ძახილი. დიდი მწერალი აზრის მეუფე გვაფრთხილებს, გვახსენებს, საოცარია რევან მიშველაძისეული სული; მტკიცე, ქვეყნის, მრავალწელაკრეფილი მეომარი მწერალი, უძლილვით სახეაღწილ მწირად ყველგან გვეცხადება და ჩვენს წინაშე განცდებზეპყრობილი თვითონაც წამებაშია მარადწამებული სათაყვანებელი სამშობლოს დაუსრულებელი ტანჯვით. როგორი ნათელი, ხილვადი, ფერწერული და ხატულ ვირტუოზული ტექნიკაა იმ უნიკალური ნაწარმოების შემქმნისა. შორეულში ფესვებგამფადარ-ლიტერატურულ სიახლე ხერხები, უკვდავი რომანის შეკრული და ურღვევი არქიტექტონიკისა. აზრთა, გრძნობათ განცდების უწყვეტი ქარგვა საკვირველი გულში ჩამწვდომი, მაგრამ უხილავ ტექსტად, იმედიც ციმციმებს ყველგან. ჩემს მიერ ნაპოვნ აზრს უნდა დავეზრუნდე, რომ წარმტაცად, ჰარმონიულად თანმიმდევრობით ვირტუოზულად ამოქარგულია მთლიანი თხრობითი დაძარღვეული ტექსტი, რითაც ნაწარმოები ცოცხალია და სუნთქავს. თითქოს ძველი ქართული შუა საუკუნეების აბრეშუმის შედევრ ნაქარგია განფენილი.

ჩვენს წინაშე და თემატურად ისახება „ღვთისმშობლის მიძინების“ შედევრ ფარდაგი, სადაც მსუყე სახარებისეული გამჭვირვალე ფერები და კონკრეტული ტონები დომინირებენ: აი, ისინიც: შილდისფერები, პატიოსანი ვერცხლი, მუქი ლურჯი, მოგუდულ დამჯდარი შავი, მომწვანოები, სპილოსძვლის ვარდისფერებით კეთილშობილი თეთრები ნატიფი ხაზები, მრავალსახოვანი ფორმები შინაგანი რითმები და საამო ჰარმონია, რის შედეგად მოედინება მაღალი მხატვრული გემოვნება.

აღსანიშნავია მწერლის ფერთა სურათული გამა, იგი იმდენად სიღრმისეულია, გეგონება ძველი ფრესკის ოსტატის უკავია კალამო.

აი, ამ ზემოთ ხსენებულ უნიკალურ ფარდაგს მაგონებს რევან მიშველაძისეული სიტყვაჯამებულობა, თხრობა და ფიქრი ქართული შინაგანი მუსიკალობისა, რითაც იხატება ხასიათები, მისადაგებული ფერები, ისევე თავისებური ფორმები და მრავალგანწყობილებიანი მონოლითურად გამოქრწილი ისტორია ჩვენი წამებული ერისა. ამ რომანით სამშობლოს წარსულ-ანწყოს კოსმოსური სუდარისფერი ტანჯვის ეტრავტი გადაგვიშალა მწერალმა. ერთბაშად ამოფრქვეულმა დიდმა სევდამ, განცდამ, დარდმა, სიყვარულმა და დაუშვებელი ჭირისუფლის სულიერმა ბორცვა მოუსვენრობამ ჩამოაყალიბა საოცარი საკაცობრიო მართალი განჩინება. ეს ნიგნი „წამება“ რომანი, მემატანეა სრული მეცნიერული ჭეშმარიტებით, აქ წარსულის ისტორია და უნაზესი ლირიკა შეზავებულია თანამედროვე კლასიკის პოეტურ პროზასთან ხელთუხლებელია, იგი როგორც საქართველოს წარსული.

ცხელი გულით, აფორიაქებული გონებით და ანიოკებული სულითაა რომანი „წამება“ შექმნილი...

წამებული მაცეტროს მიერ ხელის კანკალით ჩამოკრული ზარიდან მოედინება ხმა გაფრთხილებისა. დარიგების, გონებისა, შეგულიანების, ისევე ზნობრივად ძველ ქართულად გარდაქმნის და გმირობა-თავდადებული გამბედაობისა.

მწარე მრისხანებით მოდის ზეციური კოსმოსური ჟანგმოდებული შემოხსნისეული ზარის ხმა, რომელიც ცის გუმბათზეა განთავსებული, შეუსვენებელი წრეარეულობას, ხან გუფუნების გამკვივანი ხმით: შავანაფორიანი მწერალი მიმდგარა და თავგანწირულად გვემბარება, გვაფაორიაქებს კაპილარის უკიდურეს წვერამდე წვდება ხმა კვილისა. დიდი კლასიკოსის შემართებით სულმოუთქმელად ყვება საქართველოს მრავალწელწამება გამოვლილ მართალ ისტორიას, ეროვნული ლექტორი, მარტო სტუდენტების კი არ უყვება, არამედ სრულიად საქართველოს, თავისი წარსულის ანწყო მომავლით, რომელსაც დიდი შორეული ისტორია გადმოსახის შედარებას მოვიშველებ და, როგორც იტალიური აღორძინების, უფრო გვიანი პერიოდის, გენიალური ვერონეზე, ერთ-ერთ უზარმაზარ ტილოზე შლის, იესო ქრისტეს ცხოვრების მნიშვნელოვან თემას, ასევე რევან მიშველაძის ახალი შედევრი, „წამება“. დიდი ფერმწერი ვერონეზე, სანამ შექმნიდა ამ უკიდევანო, სულიერ-ღვთიური ტევადობის პანოს, რომელიც ლუერშია ექსპონირებული, შედევრ „ჯოკონდას“ სივრცობრივ დარბაზში. მხატვარი, როგორც ხელოვნებათმცოდნეები გვიყვებიან, თავიდან ქმნიდა მრავალფორმატან ესკიზებს, ეტიუდებს, ჩანახატებს, კამერულ სურათებს, ასევე სხვადასხვა მრავალ ჩანაფიქრებს, უამრავ კრომებს. მერე მიადგა თურმე მონუმენტურ ტილოს და შექმნა, მოცისფრო, ვერცხლის, ნათელი ია-ისფერის, ჩალისფერების, მოციმცირე ბაცი მწვანებით და კიდევ რალაც იღუმალი ტონებით

თუ ნახევარტონებით ასხმული მრავალსაუკუნოვანი მომავლის ათასწლეულთა ფერწერული ტილო ბატალა...

აი, კეთილი მკითხველო, ასევე ჩემთვის, თქვენთვის და მრავალთათვის თანამედროვეობის სიამაყე მაცეტროს ახლად აღმობრწყინებული რომანი „წამება“. ამ შემთხვევაში ნაწარმოების თხრობის სტილის დარღვევისა მეშინია თუ არა, ბრავო! მაცეტროს შემოძახებით ტაშს დაუკრავდი დიდოსტატს...

დრამის ტრაგედიის და ურთულესი აზრთა კრებულის ამ დიდი ნიგნის კითხვისას, როგორც პატრიოტს, ათობით ეროვნული წარსულის სულიერი ჭრილობები გამეხსნა, მჯერა, ყველა ნორმალური ქართველის სულსა და გულშიც მოხდება ამ უკვდავი რომანის ნაკითხვის შემდეგ.

როგორც მოგახსენეთ, საქართველო ირგვლივ არსებულ სატანურად მოვარდნილ გარემუ მტერს და შინაგან რევგენ უზნეო და გარენარ მტერგამცემლებსაც შეძრავს „წამება“. მე, როგორც ღრმად მორწმუნე და მიტევების კაცი, სამშობლოს ღალატს და მტრობას, მაინც არავის არ ვაპატიებდი და გამცემ წარსულთა ძვლებსაც ქართულ მიწას არ გავაკარებდი, დაუფიქრებლად იმ დინარეს გავატანდი, რომელიც სხვის ქვეყანაში შეედინება და მტკნარ ზღვაში ჩაედინება.

ამ საოცრად მიმზიდველი რომანის კითხვისას ასეთი აზრი გამიჩნდა, მთლიანი სხეულით აკანკალებული ავტორი, უიმედოდ განწირული მწირი ფეხშიშველი დადის, ყველა ოჯახს ეცხადება, კარებთან აკაკუნებს და ევედრება: გამოფხიზლდით, გაიღვიძეთ, ვუშველოთ ისევ და მერამდენედ კატასტროფულად განწირულ სამშობლოს, აღვიდგინოთ საამაყო წინაპართა ზნე-კაცობა, გამბედაობა და პიროვნული პრინციპი, მედგრად შევიდეთ ნებისმიერ ეროვნულ ომში და თუ საჭირო გახდა, შევეწიროთ.

უთუოდ, რომ ასეთები იყვნენ გორგალის დროინდელი ქართველები, აღმაშენებლის და თამარისა, თანამედროვენი. ნუ გაგიკვირდებათ და ამდაგვარი ზნეხასიათი შემართება და უდრეკობა გადაარჩნის ქვეყანას.

ერთი თითქოსდა ზოგადი გარემოებაც მალევეებს, სხვის ენაზე რომ ამალაპარაკონ და ძალით ჩემი მშობლიური ენა დამავეინყონ, მიჯობს იმ წამსვე და სამუდამოდ დამაშენჯოს უფალმა. მართალი იყო ნოე ყორდანია, თუ ჩემი საქართველო არ შერჩა პლანეტას უმაღლ ჩამქრალიყოს დედამიწა ან ფერფლად ქცეული მენახოსო. ასე და ამრიგად აზროვნებით და განცდებით უნდა იცხოვროს მსოფლიოს ყველა ერის წარმომადგენლობამ, განსაკუთრებით მცირე ერებმა.

ამდაგვარ ჭეშმარიტ და ურთულეს ზნობას გვთავაზობს რომანი „წამება“, რომელიც შექმნილია თავად სამშობლოს ბედობლით დატანჯული მწერლისაგან. ჯვარცმული ოსტატი მკითხველს ეუბნება, ანი მაინც მოდი გონსო. მახსენდება, ქრისტემ მის გვერდით ჯვარცმულ ყაჩაღს, დისმასს დასმასს დასმებით რომ გადახედა, მისთვის არც კი მიუტყველა ყურადღება, რადგანაც შეუვნებელ შეკითხვებს აძლევდა ქვეყნიერების მხსნელს. ასეა ყველა ჭეშმარიტი მწერალი.

აღამის მოდემის უბოროტესი შედეგი გაუმძღრობა, დაუნდობლობა და ეშმაკეული წამების წყურვილი დღესაც შეუნყვეტლე გრძელდება. გრძნეული, სულსასვე ჭარმაგი მწერალი, აუნწონავი დარდით დამძიმებულ-შეძრწუნებული ღამეც ვერ ისვენებს, წამებული ქვეყნის, მოსე, შარა-შუკებში გონანტეული უძველესი პატარა ხელის ზარი თან დააქვს და სევდიანად აწკრილებს, ვიყოთ ერთად და მიხედვით სამშობლოსო, მაგრამ სამწუხაროდ ხელისუფლებას, რომელიც რუსთაველის იუბლის გადახდაზე უარს ამბობს, ამ ზარის წკრალი არ ესმის.

დაიხ, რევან მიშველაძის „წამება“, ნიგნი ჰიპოკრატესმიერი ისტორიული მემატანეა; სულაკანკალებული ნიუნილი წამებული სამშობლოსი, რომელსაც ეკლიანი ბორკილებითაც შემოსალტულს სისხლი სდის, სისხლი კი უმაღლ უდედდება და ისევე მეორდება. ამ დღეშია ხელოვანიც დღენიადაგ და, უფალო! შველა ჯერჯერობით არ არის. მეორდება გამუდმებით დაუნდობელი ეშმაკეული წამება, ყოველ საუკუნეებში და უწყვეტად წიოკდება ღმერთითი უდანაშაულო საქართველო! ვსვამ კითხვას, სადაა უფალი?

ჩემი უმორჩილესი თხოვნა-ვედრებაა, რომ „წამება“ ნიგნი-რომანი, ითარგმნოს მსოფლიოს მრავალ ხალხთა ენაზე და ნაკითხონ ჩვენი მარად მტანჯველი ერების წარმომადგენლებმაც, ვინცობა შეუტოკდეთ ტვინის ნერვი, ან ამ უსაზღვროდ მეტყველი ნაწარმოების მეოხებით მაინც მიუვიდეთ კეთილი ვარსკვლავის შუქსიხვები.

მოანია ზემოლმა ჟამმა, რათა ნადრევედ შეენყვიტო განკითხვისმიერი ლიტერატურული ქმნილების მცირე მიმოხილვა, ჩემი მოკრძალებული აზრი პირწმიდად მართალ ისტორიულ ძეგლმა, რომელიც ღრმად მწამს, რომ მარადიულობის მკვიდრი ნაშიერია, იგი ეხმანება და ამართლებს ონორე დე ბალზაკის გენიალურ გამოთქმას: „თავისი დროის ზნობის გაუმჯობესება – აი, მიზანი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყოველი მწერალი, თუ არ სურს მხოლოდ „ხალხის“ გამართობი იყოს“.

ნათია ავსაჯანიშვილი



ბ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ს

მიყვარხარ - მეთქი, გარდუვალო!... – თან, არც კი ვიცი როდის ინებებ ჩაკვრას გულში – გამანებივრო... მსურს, რომ გაგენდო საიდუმლოდ და გამიგონე, ნუ მოინდომებ ჩვენს შეხვედრას – მნახო თუ, ვინძლო... – მე, მემრუშე ან სიძვის ცოდვით დამძიმებული... მე, მომპარავი – სხვისი ცრემლის არ შემწყნარები... მე, ვითარც მკვლელი, მოძმეთ სულთა მათხრებელი... მე, სხვისი განძის მესაკუთრე, მიმტაცებელი... მე, უქმად ყბედი, ლაზღანდარა, ავად მესიტყვე... მე, როგორც შვილი – უღირსი და არსახსენები... მე, გონდახშული – ერთობ კერბთა კეთილმსახური ან, უფლის სიტყვის შეუმსმენი და დამძრახავი... მისმინე - მეთქი, გარდუვალო, უკვე გასმინე!... ბნელ-უკუნეთის ბინადრობის არ მაქვს სურვილი!... მუდმივ ქვესკნელში ჩაჩეხილი მავანთ გოდების!... გვამის ხრწნადობის მძორივით და სულის ღმუილის!... სადაც, მინას სდის ყროლვის სუნი – გაუსაძლისი!... მკვდრები დახტიან კეთროვანის სახით და მანჭვით!... ენები ცეცხლის ამრავლებენ სატანჯავ თხრილებს!... დაგისოსებულ ორმოებში – გმინვით, ხარხარით...!... მისმინე - მეთქი, გარდუვალო!... გასმინე უკვე... ნუ მოისურვებ ჩვენს შეხვედრას – მნახო თუ, ვინძლო... –

ძახილი

გიხმობ!... დამსუსხე მზეო თაკარა დე, ჩავენაცრო მამულის მინას... მოვუდრეკივარ შეურყენელ ენას, ღვთის სადიდებელს და რწმენას მისას!... მითქვამს – გამიჯნე მხდალი სიცრუე, გაანან სილა ბოგინს ურჯუკთა, რადაა გენი ქართული ჯიშის თუ, ვაჟკაცს მკლავი დაუუძღურდა!... დრო დაუთვალა ჟამმა ერთობას – სინსილად გვექცა ჭირი ჩვეული... მისწვდეს სამშობლოს ქუხილი ერის, სულის ძახილი, სიტყვა ქებული!... გიხმობ!... დამსუსხე მზეო თაკარა – თაფლწასამულ სხეულს კორტონ სვავებმა... დღეს, რომც დამტოროს თათმა სიკვდილის –

ხვალ სხვა ქართველი დაიბადება!... დე, ჩავენაცრო მამულის მინას, შეურყენელ ენას და რწმენას ღვთისას!...

დედაენა

ქართული ანბანი – ბულბულის სტვენა!... ქართული სიტყვები – ალმასთა ცვენა!... ქართული გალობა, ლოცვა და რწმენა, ღმერთმა გვიანდერძა ჩვენ – დედაენა!... ქართულ სულს მრავლად აქვს – ბზარი და წყენა... ქართველმა არ იცის – თვითგადარჩენა... ქართული ღირსება და აღმაფრენა, ღმერთმა გვიანდერძა ჩვენ – დედაენა!... ქართული ანბანი, ქართული ენა!... ღმერთმა გვიანდერძა ჩვენ – დედაენა!...

რა მოვუხერხო ნებასა!?

რად ვფიქრობ?!... – როცა, არ ვფიქრობ!... რას მივცემივარ წყენასა!?... სულს დარდს არ ჩავაკვლევინებ, მინდობილი ვარ რწმენასა... რად გყვარობ?!... – როცა, არ გყვარობ!... ფიცსა მთხოვ ნათქვამს წრფელითა... გულით რაც დაინერების, ის ვერ იქმნების ხელითა... რად გნატრობ?!... – როცა, არ გნატრობ!... რა ძალა მამწყვდევს შენთანა?!... მემუდარები წაწლობას, უნდა გასმინო ღმერთთანა... რად გერჩი?!... – როცა არ გერჩი, რომ მელტვი ხვევნა - კოცნადა... რა მიკვირს!? – ვხვდები რაცა გჭირს, ჰმ, თავ შეგიგრძენია ცოცხლადა... რად გიღრენ?!... – როცა, არ გიღრენ მხოლოდ, თავს ვიცავ ყვეფითა... თორემ, რა ქალი გაუძღვებს შენს ალერსს ხოტბა - ქებითა?!... რად ვფიქრობ?!... – როცა, არ ვფიქრობ!... ვერ დავთმობ შენსა მზერასა... რას ვფიქრობ როცა, ვერ ვფიქრობ – რა მოვუხერხო ნებასა!?... –

მაჯამა

რა უცნაური განცდა გამეფდა... ხმა რექვიემის – მანძილს ა მ ც ი რ ე ბ ს... თითქოს, მსჯავრდებულს ასამართლებენ – განიკითხება ვის!?! – ვინ ა მ ც ი რ ე ბ ს!?!... –

სადაც, არ არის ერთი გაგება, სადაც, არაა დათმობის ხ ე რ ხ ი... თუკი, ტოტები დაუღება მუხას – არ დაინანო, დაუსვი ხ ე რ ხ ი!... თუ, ერთგულება ცინიზმმა შთანთქა – დაშვებულია ერთურთ გ ა ც ე მ ა... მაშ, რაღად ვილტვით სიყვარულისთვის – რა საჭიროა გრძნობის გ ა ც ე მ ა!?!... გაველურებით ყველაფრის აღქმამ, მდარ ცხოვრებაში თავგზა ა რ ი ა... მოცარტის სულის ბოლო აკორდი, ვისთვის კვენესა – ვისთვის ა რ ი ა!?!... –

რა ხარ ასეთი?!...

როგორ უარყო არშიყი შენი?! – როდესაც მხიბლავს გრძნობა თავხედი... ნეტავ, რა ძალამ მიბიძგა შენკენ – რა ხარ ასეთი?! – რად ხარ ასეთი?!... როგორ უარყო მოსმენა შენი?! – როდესაც მხიბლავს ჩემთვის ნამლერი... რა საოცარი დგება ცისკარი – რა ხარ ასეთი?! – რად ხარ ასეთი?!... როგორ უარყო ფერება შენი?! – როდესაც მხიბლავს ტრფობის თარეში... რა სურვილი თვლემს ჩვენ შორის – ნეტავ?!... რა ხარ ასეთი?!... რა ხარ ასეთი?!... –

ვერ ვარ მშვიდად...

დღესასწაულობს – უსასრულო დაპატრონება ამ ქვეყნის... ხალხის დუმილი უსაფუძვლო – მოსმენა ოდის და კვეხნის...! დაეშვა კუთვნილ სიმაღლიდან – ერი ჯაბანი და ბურჯი... სინდისი მჯიჯგნის ვერ ვარ მშვიდად... ბევრს არ შემორობია ფურთხი!... სუნთქავს ჭაობი შმორიანი, ხალხი შეეგუა ამ სუნს... მზერა გამიხდა ავიანი – ნუმპეში ცხოვრება არ მსურს!... –

მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ისტორიული ჭყონდიდის მიწაზე ძალუმად უღერს ქართული სიტყვა. ამჟამად გთავაზობთ მარტივლში მოღვაწე პოეტების შემოქმედებას



ზურაბ დანელია

მარი კოჩალიძეს ისეთებს გამოვეთხოვე, ცას რომ ვუყურებ, მრცხენია.

მიუხედავად მამა-პაპათა, მოკლე, კრიალა წარსულით, საეზლად ქართლის ცრემლს გაგატანთ, შენსავით გულგაბასრული.

სიტყვა, მოსული ფრენით აქამდე, სიტყვა...ქართველის კბილა ასაკით, თუ აგარიდეს, თუ ვერ გაკადრეს, უცდიდნენ რაღაც უფრო გასაკვირს. მაგრამ ამაოდ დამერა ლოდინი, ვერ მისწვდა სული უცხო გასაღებს, და დევხარ მგოსნის გულში ლოდინით, რადგანაც ლექსში ვერ ჩაგასახლეს. თუმცა მე არ მჭირს სიტყვის სახადი და არ ვეკუთვნი პოეტთა ჯილაგს, მაგრამ შენ ჩემი ცახდი სახატე, შენ ჩემი სულიც ხელში გიჭირავს. ერთხელ იქნება, იჭვსაც გავფანტავ, და ნამდვილ ლექსსაც დაეინყებ ასე: ვით იალონზე მტრედი ფარფატა შენ ისე მიფრენ მარტივლის ცაზე.

დედას მანუჟა ერევა, როცა ამ სახელის ეტიმოლოგიას ჩაწვდი, აღმოჩნდა, რომ მანუჟა მეგრულად მზის სხივს ნიშნავს.

ვეძებდი დიდხანს, ვეძებდი მუდამ, ხან დაჟინებით, ხანაც ტაატიტ და როცა ჩაწვდი ამ სიტყვის მუღამს, დამთენებოდა სამოცდაათი. როცა ვუყელებ მინიერ დომხალს და მივაშურებ აღთქმულ სამყაროს, დედა, ძვირფასო, მზის სხივი რომ ხარ, სულმოუთქმელად უნდა გახარო.



ილია კუხალაშვილი

იმიდო გაზისონიას (ცვიდი სიცოცხლეს, მომეცით ფასი)

დღეს სულაც არ აქვს ფასი სიცოცხლეს, და აღარც ვიცი, სად გადის ზღვარი, ჩვენი სიცოცხლე სადღაც მიცოცხეს, ვით შემოდგომის ფოთლები მჭკნარი. იმედს მიკარგავს როცა ეს აზრი, და აქ ყოფნისას ყოფას გავხედავ, გავყიდი ბოთლებს, უფრო აქვთ ფასი, ფიქრთგასართველად არაყს ჩავეხეთქავ.

დღეს

დღეს ქართველები მოვეყენ მილეთს, გადაიარეს ზღვები და მთები, ნაპამპერსალი, ნაქოთანარი, სიმწრით ნაშოვნი გროშებით ვთვრებით. ეს ბედოვლათი კი გაბადრულა, რეიტინგების უწყვია დასტა, ფეხზე ჰკიდა, რომ შორეთიდან, ძმა ვერ ჩამოდის ავადმყოფ დასთან. მშობელს ვერ ტირის შვილი

ლტოლვილი, გავეროპელდა გეტოში გდებით, ხოლო ცოლებმა კოხტად მოვლილი ამანათებით მოგვიძღვნეს რქები. ვენა, პარიზი, სტამბულ-მადრიდი, ვის რად ანუხებს, რა ფერის ხდები, ხომ შევუსიეთ ნათელ ევროპას, მპარავები და აფერისტები. უხანჯლ-უომრად და უბრძოლველად, (აქ ისტორიას არ ვეძალები!) ხომ გადავავსეთ მთელი ქვეყანა, ნამეძავრებით და მეძავებით. ჰოდა გმირები წიგნებში ჩარჩნენ, რა ქნან, ებრძვიან ჩრჩილებს ტიალებს, რათა დროდადრო ცრემლი მოჰგვარონ, შეჭარმაგებულ მემატიანეს. P.S.

შენ, შენ რას შვრები?-თუ ფიქრობ, მკითხავ, რას და არც რამეს, მე რაც ვარ ის ვარ, გიჯლანნი ამ ლექსს, იქნებ როგორმე დაგაცდევინო გულიდან კენესა.

დღეს საქართველო ცოცხალთა მორგს ჰგავს, სადაც შემთხვევით შეყარეს მკვდრები, ამ მორგს, ეტყობა, პატრონო არ ჰყავს, და ვინ ვინ არის, ვერაფრით ვხვდები. ზოგმა ცოცხლები სადღაც გაზიდა, ზოგ-ზოგი ცხედრებს ეჯაჯგურება, მკვდრები ცოცხლებზე ისე დაზინდა, „არაფერი სჯობს“ იმათ ყურებას. და მოლოდინში დრო ფუჭად გაგვყავს, სასწაული კი ისევე ყოფნდება, ამ მორგს, ეტყობა პატრონი არ ჰყავს, ალბათ, სულ მალე აგვიყროლებს.



დავით ჯანაშია

საყვადურის გამო

„...დამრჩა სინანულის გრძობა, რომ დავით ჯანაშიამ თავისი ნიჭი ადრინდელი წლებიდან პოეზიას სრულად რომ არ მოახმარა...“

პროფესორი სოსო სიგუა. წინასიტყვაობა წიგნიდან "დამფრთხალი წლები." 2016 წ.

მყავდა კი ვინმე ჭირმოზიარე, ლამემ ბინდი რომ გადამაფარა, რა ეკლიანი გზებით ვიარე, ცრემლის, ტკივილის, განცდის ამარა. ვერ შევძლებ ანი დარდის ნათლობას, დამემდურება განა სოფელი?! თანადგომისთვის გიხდით მადლობას, თავმდაბლობისთვის ვარ მადლობელი. არ უშუშდება სიზმარს იარა, ისევე არ ცხრება ბედის ანცობა, მარტო წლები და ნიჭი კი არა,

ლექსით დავლოცე თქვენი კაცობა.

განა გავბრაზდი? თქვენს რჩევებს ველი, ფერი ყვითელი შევლებოთ მწვანედ, გამომინოდეთ საშველად ხელი, ამ ქარაფიდან ამომიყვანეთ. იაგუნდების ფერი ხუნდება, სულის ჭრილობა ვიგრძენი გვიან, ვიცი, წარსული არ დაბრუნდება, წარსულს ჯიუტად წარსული ჰქვია. სევდა ტკივილის განსჯას უნდება, ვეკამათები ფიქრებს ამაზე, არა, წარსული არ დაბრუნდება, როგორც ბავშვობა და სილამაზე. იმ ტკივილების განსჯა რთულია, ღირს კი წარსულზე განცდა, განგამი? ის წლები განა დაკარგულია?! ის წლები ჩემთან იდგნენ სანგარში. მათ არ იცოდნენ განცდა და შიში, როგორ მოვედი აქამდე მიკვირს, ის წლები მახლდნენ ქარში, შიმშილში, ის წლები ჩემთან ებრძოდნენ სიკვდილს. ის წლები შლიდნენ ეპოქის მახეს, დასთამაშებდათ მუქი კეთილი, ტკივილიც ნახეს, ცრემლებიც ნახეს, ნახეს იმედი, ქარს მიხვრეტილი. კვლავ ტკივილების განსჯას ვუნდები, სისხლი აცხიათ ნავარდალ ველებს, სულზე დაგვადეს მძიმე ხუნდები, შემდეგ მამული გადაგვიტოვებს.


მიმძრალი ოცნებები

ვერ ამოვხსენი რებუსი რთული, იქნებ არც ღირდეს ფიქრები ლამებავად, პეშვებით დამაქვს ნატკენი გული, წელან სიზმრებმა გაკანრეს ალბათ. კოჭლობით დადის ქუჩაში ქარი, მოუხვევია ღრუბელი ცაღფად, ქარს თრთოლვით მიაქვს ნატკენი მხარი, წელან ქუჩაში იტკინა ალბათ. განცდა, ასანთის დამწვარი ღერი, მიმქრალ ოცნებებს ტკივილებს აწყობს, შენი ძვირფასი სახელი: მერი, ისევე მითრთოლვებს დაისრულ ანმყოს. ისევე აქა ვარ, ღიმილთან გელი, შემომაცილე დარდი ეული, გამომინოდე დალილი ხელი, გამომაფხიზლე გზაარეული. ყავად ღიმილი მომართვი დალილს, თქვი, რომ კვლავ მწყალობს არსთაგამრიგე, თქვი, რომ წარსულის განსჯა კვლავ არ ღირს, მითხარი რამე და დამარიგე. თქვი, რომ ხანდახან დარდიც კარგია, რომ გამიღიმებს ბედი მსაჯული, თქვი რომ უქმად არ დამიკარგია, წლები, უაზრო ომს მიხარჯული. თქვი, რომ უთუოდ გავტოპავ მორევს, თქვი, რომ არა ვარ გასარიყავი, რაც კი ლაფი და ჭუჭყი მესროლეს, მითხარი, თითქოს ღირსი ვიყავი. თქვი, რომ მოფიქრალს შეგნის იარა, ლოდი ვიპოვო სადმე სატაძრე, გული კი ზიზლს და ჭორებს კი არა, შემთხვევით ნიავს შემოვაკანრე. შემხედე მკაცრად, შემხედე მკაცრად, მითხარი, ნალველს ნუ ვემონები, მითხარი, თითქოს ეკლების ნაცვლად, იასამნების მომაქვს კონები. თქვი, რომ ხატავენ პროფილს ნუთები, არაყნასვამი ნიკალას მსგავსად, არ ვიმდურები, არ ვიბუტები, ბედნიერებას არ ვეძებ არსად. ნუთისოფელი როდია ტკბილი, მაგრამ არც დალილს არ მშვენის კვენსა, დარდი ვათრიე მე ჩემი ნილი, არსთაგამრიგემ რაც დამიწესა. მერე რა ანმყოს ნაწყენი ვუმზერ, სულის ყულაბა სევდით ივსება, არ გამიცვლია ნასუფრალ პურზე, ლექსი, სინდისი, რწმენა, ღირსება.

ნუ გაკრთობს ჩემი ტკივილი მწარე, ნუ გაკრთობს ჩემი სევდა, გოდება, მკათათვე ცივად დაგვტოვებს მალე თიბათვე ჩუმად გვიახლოვდება. გამომინოდე დალილი ხელი, ვარდის სურნელი რომ მომაგონდეს, ზრუნვა, ღიმილი რაც დაგაკელი, ცრემლით სველ წარსულს სახსოვრად ჰქონდეს.

ბალში მჭკნარ ფოთლებს აკრიფავს ქარი, ქარსაც აკვირებს ღიმილი შენი, ნატკენ მხარს ქარში იშუშებს ქარი, პეშვებით დამაქვს გული ნატკენი.

თაკო წულაია.



წლის გოგონა, მარტივლის პირველი საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე მშვენიერი ლექსებისა და ერთი პოეტური კრებულის ავტორია. გზა დაელოცოს მას პოეზიაში.

ღიად დარჩენილ კარებს გაჰყურებ, ლოდინის გარდა რა დაგრჩენია?! და მარტივობა, სულს რომ გიხუთავს, ტანჯვა კი არა, განაჩენია. უნდა ძლიერად დადგე და მერე, გაუძლო, როგორც უძლებენ სხვები, თუმცა იმედებს დღითიდღე კარგავ, თუმცა დღითიდღე კვდები და კვდები... არავინ მოვა, არავინ არის, მოგონებები წარმოსახვაა, ქუჩაში გასვლა მომღიმარ სახით, მსახიობური გარდასახვა! ყველა „როგორ ხარ?“-ს პასუხობ კარგად, ეჩვევი ტყუილს და სხვა დანარჩენს და აპროტესტებ, რამდენსაც გინდა, თუმცა საბოლოოს ვერ ცვლი განაჩენს. აღარ ალაგებ ოთახს არეულს, არც სარკმელს ალღე, დაგმანულს მჭიდროდ, ჰოდა, დახუთულ ოთახში მყოფი, ჰაერზე მეტად „ვილაცას“ ითხოვ. მაგრამ არ მოვა შენი ვილაცა, და შენი მოსვლაც არ უნდა არვის, და გეჩვენება (ან იქნებ მართლაც?!) მარტობაში დრო სულ არ გადის. მხოლოდ საათი ნიკნიკებს მშვიდად. სიჩუმის ტალღას მიაპობს მძიმედ... გაშინებს აზრი ყველაზე მეტად- შენი ცხოვრება იქცევა ტირედ. რომელსაც მერე ჩასვამენ ალბათ, ორ ალსანიშნავ თარიღებს შორის, და ხალხმრავლობა, ნანატრი ასე, თურმე ოდესღაც ნამდვილად მოდის. უყურებ კარებს, დარჩენილს ღიად, როგორ ირწევა ქარისგან მშვიდად... და ყველაფერი, რაც გქონდა დღემდე, ქარს უჩვეულო სიღინჯით მიაქვს. მოიხდი ალბათ სასჯელს უმძიმესს, თბილი პლედის და კატის ამარა და დრო იქნება, რომელიც მერე, შენს მოგონებებს მტვრით გადაფარავს. შენს მშვიდ სახეზე ნაპრალებს ითვლი, დარდებამოვლილს დრო მოგრევი, თურმე ასეა წლებისგან კვდებით- სიმარტოვისგან კი არ კვდებიან.



კულტურა!

კულტურის მსოფლიო ფორუმის და უკრაინის მწერალთა კავშირთან არსებული გამომცემლობის „მწერალი ინტერნეტ-სივრცეში“ მხარდაჭერით გამართული საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსი „სულიერების თანავარსკვლავედი“ აჯილდოებს **მაყვალა გონაშვილს** ვერცხლის სამკერდე ნიშნით „სულიერების თანავარსკვლავედი“ მისი შემოქმედების მაღალი სულიერებისა და ხალხთა შორის სულიერი კავშირების გამყარებაში მრავალწლიანი წვლილის შეტანისთვის.

კონკურსის ორგანიზატორების თავმჯდომარე **ნ. მ. პარენიკი**

ქ. კიევი
8. 11. 2017 წ.



ვახტანგ ღლონტი

ციკლიდან

„ნამოკრულაჲი“

მახსოვს, ეგ შორი სინამდვილე,
როგორც იგავი,
უბანში, ბიჭებს, შემოგვჩვილა
ქველმა მპარავმა;
– „ციხეში ჭკუასაკითხავი კაცი ვიყავი,
მაგრამ, ძმებოჯან, ამ „სვაბოდის“
აზრზე არა ვარ!“

ასეა, მთელი საქართველოც,
თავისუფალი,
(სხვა ციხე უცდის, გამოღწეულს „
ნითელ“ ციხიდან);
ან დაიხვრიტა, ანდა ნეხვში
დასვეს უფულოდ –
ყველა, ახალმა მეპატრონემ ვინც
ვერ იყიდა.

ციხე ციხეა – რუსულიც და
ამერიკულიც,
დღეს მთავრობისკენ იქაჩება
ბევრი მპარავი;
რა მერე, თავი „სვაბოდაზე“ თუ
დაიგულეთ,
თუ ამ „სვაბოდის“ გაგებაში არ
ხართ არავინ!

როცა...

(ზოგიერთი ქართველის
გასაგონად)

როცა ჯიუტად არ გესმის,
რომ ორჯერ ორი ოთხია,
ცოლს მოგიხნავენ ხიზნები,
ჯერ ყანას გაგიოთხნიან.

შენ, ოლონდ გაძლე, გკიდა
ფეხზე – ქრისტეც და მაჰმადიც,
თავი ვერ მიგიტანია
(ძირში მოჭრილი) სახლამდის.

და მაინც, როცა შეთვრები,
რალაც წარსულით დიდგულობ;
გადასაგდები ნივთივით,
ნაგვის ურნასთან მიდგმულო.

რას ეუბნები წინაპარს,
სისხლი რომ შენთვის აქცია;
რომ დაუსახლე საფლავზე
ათასი ჯურის მაქცია.

ერისკაცებსაც დასცინი,
უნიგნურო და უგვანო;

რამდენს გიხდიან თურქები
უკანალი რომ უქანო?!

მაღე მიხვდები თავადაც,
თავი რა შარშიც გაყავი;
რამ დაახვავა, გამჩენო,
ერთად ამდენი ნავავი.

მე ისევე გეტყვი ჯიუტად,
რომ ორჯერ ორი – ოთხია;
მტერი შინა გყავს, ქართველო,
მოგწონს და, დედაც მოგხნია!

არასამთავრობოები –
ბიჭები და გოგოები;
მრავლდებიან, როგორც ტყეში,
ნანვნიმარზე სოკოები.

საქართველოც მათთვის ტყეა
ბნელი ოჩოკოჩოებით;
ნადირით და მონადირით,
ჭინკებით და ჯოჯოებით.

ისე, როგორც ველურები,
როგორც უსამშობლოები;
როკავენ და შიშვლდებიან
ბიჭები და გოგოები.

უცხო ფულით, უცხო სულით,
უცხოური ლოგოებით;
წვრთნიან მშობლებს, – გაუნვრთნელი
ბიჭები და გოგოები.

მივუშვირეთ თავკისერი
ისე, როგორც კოფოები,
გვაჭენებენ ჯორცხენივით
ბიჭები და გოგოები.

თუკი საყვედური დაგცდა,
ისე, როგორც კოლოები;
დაგვჭამენ და დაგვისხლავენ
ბიჭები და გოგოები.

ჩვენც ვუცინით ცრემლებს შუა,
ხი-ხოები, ხო-ხოები;
გვაბუზღებენ პატრონებთან
ბიჭები და გოგოები.

იუდასებრ არასანდო,
არასამეგობროები;
გასწირავენ გამჩენ ღმერთსაც
ბიჭები და გოგოები.

მაღე აღარც საქართველო
(თავის ოღროწოლოებით)
არ იქნება... იქნებიან
ბიჭები და გოგოები.

ავინყვიტე მკლავი ჯვრიდან,
ან აქამდე როგორ ვები;
ვნახოთ – ვინ რა ბიჭები ხართ,
ანდა ვინ რა გოგოები!

გამოგვლიჯეთ ნაფლეთები
თურქის ხმალს და რუსის ჩექმას;
ახლა ისევე ძმები ვხდებით –
ყველას ყველაფერი შერჩა!

ბევრჯერ, შემოხიზნულებმაც,
წამოგვადგეს თავზე ჩეჩმა;
მაინც ვითმენთ (სხვა რა გზაა?! –
ყველას ყველაფერი შერჩა!
ხალხი, ჩვენი მეგვარტომე,
ჩვენს მტერსაც და თავის მტერსაც
მიეკედლა მამულითურთ –
ყველას ყველაფერი შერჩა!

რწმენაც, ენაც, მკვდრის ალაგიც –
გაიყიდა თითო ვერცხლად;
მყიდველსაც და გამყიდველსაც –
ყველას ყველაფერი შერჩა!

ნაეშმაკარ სამოთხეშიც
კვლავ ეშმაკი გვიზის ელჩად;
კვლავ გვახარებებს ცოდვის ხეხილს, –
ყველას ყველაფერი შერჩა!

ვნახეთ ტელედაჭერებიც –
კეტის რტყმა და ცოცხის შეჩრა;
კინოაო – გვაჯერებენ, –
ყველას ყველაფერი შერჩა!

რით ჯობია, მკითხავთ, ალბათ,
იმ პარტიას ეს პარტია;
როცა ყველას (ხალხის გარდა)
ყველაფერი ეპატია.

უნდა მაგრად შევიკურთხო,
მიიხურეთ დარაბები...
(.),
საქართველოს ჯალათებო,
არ შეგჩრებათ არაფერი!

კაზანტიპი!.. კაზანტიპი!..
ვახ, რა პონტებს მაზავს ტიპი;
რის – „ყანა მაქვს გასათოხნი...“
რის – „ეზო მაქვს გასათიბი...“

კაზანტიპი!.. კაზანტიპი!..
თვალებს ისე ნაზავს ტიპი;
ვატყობ, – ომში არ მოკვდება,
არც დუელით და არც ტიფით.

კაზან-ტიპი!.. სეზამ-ტიპი
რას გვახარებებს, ნეტავ, კლიპით? –
ქალს (ხსნილი აქვს – ქვედაბოლოც,
ქვეტიქსტიც და ქვედაჭიპიც).

ჩანს, რომ „ვაი (ჭკუისაგან)“
ან მეტი აქვს, ან აკლია;
ვისაც ღია ბორდელად სურს
საზღერისპირა ანაკლია.

სად ლაშქარი უნდა იდგეს
თავმოყვარე ქართველების;
გვთავაზობენ რა ორგიებს
სოდომ-გომორს ნათრეგები?!

ძმა იყო თუ მეზობელი –
გვმტრობდა, მაგრამ გვაფასებდა;
ხვალ რა პირით ვისაუბროთ
ჩვენს გაბუტულ აფხაზებთან?!

ვილას უნდა სახელმწიფო –
ბოზების და ბარიგების;
ნაგებულ ომს არ იგებენ
ეშმაკებთან გარიგებით...

ასე იცის – უღმერთობამ,
უკაცობამ, უქალობამ;
ცრუ მოძღვრის და ცრუ პოეტის
ცრუ სიტყვამ და ცრუ გალობამ.

ასე იცის...

გვრაცხდნენ პოეტების ქვეყნად,
რაც გადარჩა – სტრიქონშია;
დღეს კი, ამ ჩემს სამშობლოში,
ყველა პოლიტიკოსია!

არ დაბრუნდა დარუბანდი,
დაგვრჩა შორით ნიკოფსიაც;
მაინც, ამ ჩემს სამშობლოში,
ყველა პოლიტიკოსია!

მშიერი ხომ ცუდად არის,
აქ, მაძლარსაც, ვითომ შია;
რა ჰქნან, ამ ჩემს სამშობლოში,
ყველა პოლიტიკოსია!

ცვლიან ნიღბებს, ცვლიან როლებს,
ვინ ლომია, ვინ გომია;
არ იცვლება დრამა, რადგან
ყველა პოლიტიკოსია!

ჩვენი ხალხიც, ჩვენი ჯარიც –
სხვის ომში და სხვის კონშია;
არ ჭრის კალამი და ჯვარი,
ყველა პოლიტიკოსია...

და ა.შ...

მივატოვე დედის კალთა,
მამის ძვალთშესალაგი...
ვაი დედა, ვაი დედა, ვაი დედა,
ქალაქი!..

ვინ დუმილით მიმასპინძლა,
ვინ – ქვითა და ტალახით...
ვაი დედა, ვაი დედა, ვაი დედა,
ქალაქი!..

იცინიან ეშმაკები, ღმერთი
დამემალა კი...
ესეც დედა, შენი დედა, ყველას
დედაქალაქი!..

დავრჩი, როგორც შარავზაზე,
გასრესილი ბალახი...
ვაი დედა, ვაი დედა, ვაი დედაქალაქი!..

ავტორი და

სოსო სიგუა

თამარის ეპოქის მთავარი კულტურული მოვლენა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“. მნიშვნელოვანია საერო მწერლობის სხვა ნიმუშები, საინტერესოა ასკეტიკურ-მისტიკური თხზულებანი, ტაძრები და მხატვრობა, ბეჟა და ბეშქენ ოპიზარების ჭედური ხელოვნება, „ვისრამიანის“ თარგმანი თითქმის ორიგინალურ ძეგლად იქცა. მაგრამ რუსთაველის გარეშე კულტურას გუმბათი არ ექნებოდა.

რუსთაველი ისევე განადიდებს ქართულ ხელოვნებას, როგორც მეფე თამარი – ქართულ სახელმწიფოსა და პოლიტიკას.

ხალხის ფანტაზიამ ეს ორი სახელი ერთმანეთთან დააკავშირა, ერთ დროში მოაქცია, როგორც დიდება ქართული სულიერებისა, რაც, საბედნიეროდ, მართლაც ასე ყოფილა.

თამარისა და რუსთაველის სახელებიდან მოდის ჰუმანიტურ-რენესანსული იდეალების წარმოჩენა და განვითარება, რომელთა გარშემო პოეზიამ ადგილს სხვა სახელები და სხვა ძეგლები.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც გადამწერდნენ და იზებირებდნენ, უცვლელი სახით ვერ მოაღწევდა. მაგრამ ცვლილება ვერ შეეხებოდა ძირითად სიუჟეტსა და პერსონაჟებს, პოემის საუკეთესო სტროფებს.

ალბათ ინტერპოლატორი უფრო ამატებდა სტროფებს, ვიდრე აგებდა ადრე არსებულს. განსხვავებული ნაკითხვანი, ჩანართები და დამატებანი არსებითად ვერ დაარღვევდა ავტორის მხატვრულ აზროვნებასა და კონცეფციას.

ძირითადი პოსტულატები

როცა ვეძებთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობას, უნდა დავიცვათ და გვახსოვდეს რამდენიმე პოსტულატი, რომლებიც გამოგვაქვს ტექსტიდან, როგორც კვლევის საფუძველი:

რუსთაველი პოემის წერის დროს არ შეიძლება ყოფილიყო სასულიერო პირი, რადგან სიმდიდრის, ბრწყინვალე ცხოვრების, მინიერი ვნებების, ომის და პიროვნული სისასტიკის წარმოსახვა ერესად ჩაეთვლებოდა ან მათდამი ინტერესი არც ექნებოდა ეკლესიის მსახურს.

რუსთაველი ეროსისა და არესის პოეტიკა, არა ასკეტიკური განდევნილი, რომელიც ბნელ სენაკში ცხოვრობს, ჯვალ მოსავს და დღენიდაც მარხულობს.

ვერც სარდალი და მუდმივი ლაშქრობების მონაწილე იქნებოდა, რადგან პოემის დანერგა უცებ ვერ შესძლებდა, მას საკმაოდ დრო დასჭირდებოდა. ეს კი საქვეყნო საქმეთაგან მოსწყვეტდა.

გარდა ამისა, ასეთ დონემდე მისულს უეჭველად უნდა გაეკლო დაოსტატების, სიტყვის დაუფლებისათვის გარჯის წლები, რისთვისაც ვერ მოიცლიდა სარდალი, ერისთავი ან რომელიმე უხუცესი.

ასეთი ძალის შემოქმედი წერაზე ვერც უეცრად აიღებდა ხელს.

ავტორს მიღებული ჰქონია კარგი განათლება, იცნობს არსებულ სააზროვნო სიტუაციას, იცნობს სასახლეს, სასახლის ეტიკეტს, მეფეთა ცხოვრებას, ომის პროცესს. მეტყველებს როგორც არისტოკრატი, რომელიც მეფისა და ქვეყნის ერთგულებას იცავს და არსებული სოციალური წესრიგის მესობზეა.

როგორც ჩანს, სცოდნია სპარსული ენა, სპარსული პოეზია (ფირდოუსი, გორგანელი, ნიზამი), ბიბლია, ქრისტიანული თეოლოგია (მაგ., ფსევდო-დონისე), ნეოპლატონური ფილოსოფია, გასცნობია ძველ-ქართულ აპოფთეგმების კრებულს.

პოეტი ისეთი ენერგიით წერს რომანტიკულ, სასიყვარულო და საომარ სიტუაციებზე, რომ ხანდაზმული ვერ იქნებოდა, შორს მდგარი ეროტიკისაგან, როცა ემოციებს სძლევა აზრი, გმირს

– ბრძენი, სიტყვიერ არტისტიზმს – ინტელექტუალური განსჯა.

ნიგნს სიუჟეტურ საფუძველად უდევს თამარის ისტორია, რომელიც პოეტურად არის ტრანსფორმირებული, დანაწილებული, შორს გადატანილი. მაგრამ ისე, რომ შიფრი მაინც ნაკითხულიყო.

ასე ვერ დანერდა ის, ვინც ახლოს იდგა სამეფო კართან და იქ გამართულ ცერემონიალებში მონაწილეობდა – ეტიკეტი არ მისცემდა ამის საშუალებას. მას შეეძლო ხოტბა, მაგრამ არა დედოფლის პირადი ცხოვრების პოეტიზება, მითუმეტეს – ვნებების გადმოცემა.

ამრიგად, რუსთაველი უნდა ყოფილიყო – არისტოკრატი, საერო პირი, სასახლის ეტიკეტისა და ცხოვრების მცოდნე, ღრმა ერუდიტი, თავისუფალი შემოქმედი, მესობზე, პოემის წერის დროს – სიჭაბუკესა და ხანდაზმულობას შორის მდგარი, როცა ერთმანეთს ერწყმის ემოცია, ძალა და გონი (მაგ., 40 წლის ნიზამი განჯელი წერს „ხოსროვირინიანს“, 47 წლისა – „ლეილაშენიანს“).

რეალობის შიფრი

პ. ინგოროყვა გაჰყვა თამარის ისტორიის ანარეკლს პოემაში, რომ საქართველოც შვიდ სამეფოდ იყო დაყოფილი, როგორც რუსთაველის ინდოეთი, რომ ფარსადანის – ინდოეთ მეფის მსგავსად გიორგი მესამესაც გვიან ეყოლა ძე – ასული (გიორგის ერთი ხარჭისაგან ნაშობი გააყოლეს არზრუმის სულტანის ძეს მუტაფრადინს, მეორე რუსუდანი – თამარის მსგავსად მამიდასთან იზრდებოდა, 80 წლის ასაკში აღიკვეცა მონაზვნად), რომ თამარი დედისერთაა, როგორც თინათინი და ნესტანი და იკავებენ ტახტს, რომ ქვრივი ნესტანის მამიდა დავარი ჰგავს თამარის ქვრივ მამიდა რუსუდანს, სასულტანოდან დაბრუნებულს, სვარაზმშას ძე – გიორგი რუსს, რომ ფარსადანი და სარიდანი ერთი გვარისანი არიან, როგორც თამარი და დავით სოსლანი, რუსუდანის მიერ აღზრდილი.

გიორგი რუსის გაძევებას მოჰყვა შიდა სამხედრო დაპირისპირება, ხოლო სვარაზმშას ძის მოკვლას – ქაოსი, ანარქია და ხატაელთა მიერ ქვეყნის

დაკავება.

პოემის მთავარი ინტრიგა ისტორიული ფაქტის გარდასახვაა.

ქალის გამეფება ისედაც უჩვეულო ფაქტი იყო როგორც საქრისტიანოსა, ისე მუსულმანური სამყაროსათვის. ხოლო წარმატებული რომ გახდა – ეს უკვე უფლის სასწაულს ჰგავდა.

ამიტომ მკვლევარმა შოთა რუსთაველი ჰერელი ბაგრატიონების დინასტიას მიაკუთვნა, რომელთა საგვარეულო სახელი მართლაც ყოფილა შოთა.

მაგრამ რუსთაველი პოეტი იყო და არა ისტორიკოსი. ზუსტი ისტორიის გადმოცემა რომ სდომებოდა, პოემას არ დანერდა.

პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი რუსთაველის ბიოგრაფია სპეციალისტებმა არ მიიღეს, ისევე როგორც სხვა მრავალი ვერსია, რაც დროდადრო წარმოიშობა რუსთაველოლოგიაში (მაგ., პოეტის მუსულმანობა. მაგრამ ნამდვილია რეალობის შიფრი).

ავტორი

საბოლოოდ მაინც იმაზე შეჩერდნენ, რომ თამარის ეპოქაში „შოთად“ სახელდებული რამდენიმე პირიდან პოემის ავტორი უნდა ყოფილიყო შოთა მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის ალაპი დადებული ყოფილა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში (ნ. მარი, ე. მეტრეველი), ჯერ კიდევ ქტიტორის სიცოცხლეში.

მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფერხითი მუხბომდრეკილი მოხუცი დიდებულის პორტრეტიც მას მიაკუთვნეს. მითუმეტეს რომ აქვს წარწერა:

„ამის დამხატვასა შოთას შეუნდგენს ღმერთმან. ამინ. რუსთველი“.

გაერთიანდა შოთა მეჭურჭლეთუხუცესის, პოეტ შოთა რუსთაველის, პოემაში ინტერპოლატორის მიერ ჩართული რუსთაველის და იერუსალიმური პორტრეტის სახელები, როგორც ერთი პიროვნება, რომელსაც ბიზანტიური სკარამანგი მოსავს.

თუმცა გამოითქვა ეჭვი, რომ არც ალაპი განეკუთვნება XIII საუკუნეს და არც პორტრეტი – მას ათარილებენ 1643 წლით (კ. კეკელიძე), როცა ჯვარის მონასტრის წინამძღვარმა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა (ირბახმა) განაახლა ფრესკები.

მაგრამ რესტავრატორი ან ქტიტორი თავისი ნებით ვერ გამოსახავდა საერო პირს დიდი საეკლესიო იერარქების წინაშე (ალ. ბარამიძე).

ტრადიციაც პოემის ავტორად თვლის შოთა რუსთაველს (რუსთველს) და მის სახელს უკავშირებს ჯვარის მონასტერს – დასახლებული კონკრეტული ფაქტების გამო.

ეს ტრადიცია სათუო არ გამხდარა და ამიტომ უნდა მივიღოთ ერთადერთ სიმართლედ – პოემის ავტორი არის შოთა რუსთაველი (რუსთაველი), ცხოვრების პერიოდი – XII საუკუნის II ნახევარი და XIII საუკუნის I ნახევარი.

პოემაში რუსთველი ოთხგან იხსენიება. როგორც არაერთი მკვლევარი აღნიშნავს (მაგ., კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა), ეს სტროფები ნაყალბეგია, თუმცა ადრევეა დანერგილი და იმეორებს ტრადიციულ გადმოცემას.

შეიძლება პოეტს არ ჰქონდა ოჯახი, არ ჰყავდა შვილები. მაგრამ იყო საქარ-

თველოს მეჭურჭლეთუხუცესი, მდიდარი ფეოდალი და ასეთი მოღვაწის ახლობლებმა მაინც როგორ დაკარგეს მისი სახელი და სამკვიდრო.

თარიღი

პოემის დაწერის თარიღზეც მრავალი განსხვავებული აზრი გამოთქმულა (მაგ., ნ. მარის, ს. კაკაბაძის, კ. კეკელიძის მიერ).

არადა – თარიღი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტორის ვინაობის ძიება.

ტრადიციულად – „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა თამარის ეპოქაში. თუ თარიღი შეიცვლება, დაინგრევა მთელი რიგი ფილოლოგიური და კულტურული კონცეფციები.

სადღეისოდ მიღებულია ის აზრი, რომ პოემა შექმნილია XIII საუკუნის დასაწყისში, თამარის დროს, დავით სოსლანის გარდაცვალებამდე.

ამ შეხედულებას მტკიცე საფუძველს უქმნის ხაყანის მიერ „განჯელი ძალღისა“ და „რუსთას ვირის“ მოხსენიება, ე. ი. რუსთაველი ამ შარვანელი პოეტის თანამედროვე ყოფილა და, თუ ერთმანეთს არ იცნობდნენ, ერთმანეთის არსებობა მაინც სცოდნიათ, რადგან ხაყანი მათ თვლის თავისი „გულის დარდის მიზეზად“ და არა დროის ცვალებადობას.

ქართული ენის მცოდნე შარვანელი მგოსანი ამას რომ წერდა, მაშინ რუსთაველი არც იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი (ხაყანი გარდაიცვალა 1199 წელს).

ხაყანი რუსთაველს სარწმუნოებრივ ნიჰილიზმს აბრალებს.

ასეთი ბრალდება პოეტისათვის შეეძლოთ წაეყენებინათ როგორც ქრისტიანებს (რაც მოხდა კიდეც), ისე მუსულმანებს, რადგან არცერთი მათგანის დოგმებს არ იცავდა.

„რუსთას ვირი“ პოეტი ყოფილა, რომელიც ძრახავდა ანუ აკრიტიკებდა შარვანელ თანამოკალმეს.

ამ ფაქტს უნდა დავუბრუნოთ ქვაბისხევის მონასტრის (მესხეთი) XII საუკუნის ფრესკა, რომელზეც გამოუსახავთ ჭაბუკი ფეოდალი, სახელად – „შოთა“ და დედამისი „ია“ (ნ. ბერძენიშვილი).

ეს შოთა არის ჭიაბერ თორელის ვაჟი, ს. ცაიშვილის ვარაუდით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ჭიაბერი 80-იანი წლებიდან 1204 წლამდე მანდატურთუხუცესია.

შოთა, რომლის საგვარეულო საკუთრება რუსთავიც იყო, თითქოს მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა 1205–1220 წლებში (პ. ინგოროყვას მტკიცებით – „მოხუცობის ჟამს“).

მაგრამ აქ დაისმის კითხვა – ვაზირის ასეთი პოემა როგორ შეიძლება არ სცოდნოდა „აზმანის“ ავტორს, თავადაც უაღრესად განათლებულ პიროვნებას (მდრ – ფაზრ ედ-დინ გორგანელი, „ვისრამიანის“ ავტორი, არ იცნობდა 40 წლით ადრე დანერგილ „მაჰ ნამეს“).

იქნებ „ვეფხისტყაოსანი“ XIII საუკუნის ათიან წლებში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და „აზმანის“ პარალელურად იწერებოდა.

მაგრამ ამ დროს არც თამარია ცოცხალი და არც დავითი. პოემის ტრიუმფალური, საზეიმო ფინალი კი გამოორიცხავს მათი სიცოცხლის დასრულებას (კ. კეკელიძის აზრით, სწორედ გლოვის



ბექა მიქაუტაძე

ცხოვრების ვალი

ვალეებს დაბრუნება უნდა, უიმედოდ იყო თუნდაც, ყველა ვექსილს უკან გაეცემ, სიზმარს, სინამდვილედ ვაქცევ...

შენი მმართველს, წინაპარო, უფლის მადლთან წინაპარო, ჯიშო და ჯილაგო ჩემო, ერთადერთო - საქართველო...

წვიმის ლექსი

უსიყვარულოდ დღე არ გასულა, სითბოს გარეშე მზეც არ ჩასულა. გულის ნადები მინდა გაგანდო, ლამაზ გულ-მკერდზე თავი დაგადო...

სუფთა ფურცელი

ყველა შედევრი, პროზა თუ ლექსი, მდაბიო სტროფი, თუ მდარე ტექსტი, სუფთა ფურცლიდან იწყებს ყოველი...

და ეს ცხოვრებაც ამ ტექსტით მიდის. მაგრამ ყოველდღე მეცვლება აზრი, თურმე ტექსტები, მწარეც და მკაცრიც...



ეკა ქაჯაია

შემოდგომის ნათურები

ნომებერს ველარ შევეკედლებით, თოვს და აქა-იქ ანთებულები, მხოლოდ ხურმები შერჩნენ დეკემბრის ხეებს უჭალო ნათურებივით...

აივანი

აიხედავ და თითქოს მზის არის, წვიმს და წვიმიან ამინდს ამშვენებს, მაგრამ ცის სახლი - ის აივანი ერთ დღეს უეცრად ამოაშენეს...

ჩაქრა ძვირფასი ქვა და მინავლდა, სახლს მოემატა ოთხი კვადრატი, ქუჩა ათასით დაპატარავდა...

გაზაფხულობით

შენს თავს ისე არ გავხარ მინავ, მჩატდები, - ცისკენ ასაფრენად იქარგავ ფარდაგს, აღლევებული გულის პირით აწვევი სივრცეს...

გაზაფხულობით შენს თავს ისე გაურბი მინავ, გამოფენ ათას ნიკებებიან ხავსსა და გვიმრას, - თითქოს შენ არ ხარ მთის წვერიდან ძალას რომ იკრებ...

სადაც მარტო ხარ მუზეუმის ბატონ-პატრონი.. ათვალეირე შენი ცოდვა ბნელ ჯურღმულეებში, არ დაკლებიხარ ბაბილონს და არცერთ ქარაშოტს...

მურად ჭოლოკავა

ჯანსუღ ჩარკვიანს

შენზე ვლოცულობ, ჯანსუღ, და ზემოდან ღმერთი მისმენს კაცივით. ღმერთს ვეკითხები შენზე: - რა მოხდა, რად დარჩი გაღმა, რატომ გაცივდი...

ცრემლი ჩვენი ნარსულისა

უფლისციხის კედლიდან დღესაც წვეთავს კურცხალი - ცრემლი ჩვენი ნარსულის, მარად მოუშუმარი. ბზარებს დარდი ჩაღვრია, მზის ჩამხმარა სხივები...

▶ 11 83.

კარგად იცი. იმერეთმაც შეკვირვება ერთგულთა რუსთაშენი...

სამწუხაროდ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, უალრესად მძიმე იმ მდგომარეობის გამო...

როგორც იტყვა, რევაზ მიშველაძის რომანის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანსწრაფვას ამ მოლოდინის სრულ შესაფუძვლოებაში...

სწორედ პოზიციათა ამგვარი რადიკალური განსხვავებულია ნათელ გამოსატულებას წარმოადგენს წარმოადგენს ის ეპიზოდი...

ასე რომ, რუს „კეთილ მასპინძელს“ ქართველები შინაპატიმრობაში ჰყავდა. სამწუხაროდ, ათასგვარი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ...

როგორც მწერალი მეფესა და პაატას შორის ამ განაჩენის გამოტანის შემდგომ გამართული საუბრითაც გვიჩვენებს...

სასიცოცხლო ინტერესებით იყო განპირობებული და არა მონინალმდეგეთა მიმართ პირადი შურისძიების სურვილით.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიბონებ ფრაგმენტს იმ დიალოგიდან, რომელიც მეფესა და პაატას შორის იმართება...

ერეკლე ლუმდა. მოლაღატე ბიძისთვის. ყრუდ დასძინა მეფემ. ერეკლემ, მე შენთვის არ მილაღატენია.


რევაზ მიშველაძის ახალი რომანის შესახებ საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა მის ენობრივ მხარეზეც მინდა ვთქვა.

ასევე ცალკე, საგანგებოდ, მინდა აღვნიშნო მახვილგონივრულად მიგნებული და ფართოდ გამოყენებული ნეოლოგიზმები და სიტყვათმუხამებანი...

რ. მიშველაძის სტილური ინდივიდუალობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე აზრის ხატოვანი ფორმით გამოხატვაც.

მიუხედავად იმისა, რომ რევაზ მიშველაძის ახალი რომანის პრობლემემატიკა მხოლოდ წინამდებარე წერილში განხილული საკითხებით არ განისაზღვრება...

ავთანდილ ხარაიშვილი



სიტყვის ყადრი – ლექსი მანიფესტი! 850 წლის შოთა რუსთველისადმი!

პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება...

ავაკი. ვარ ფიქრი! მიუსაფარი! საქმიან ლექსთა ამქართო!

ოცდაექვსი საუკუნის წინათ ვქმნიდით ქართულ ანბანს!

ასომთავრული ქართული, ანმყოფომაველწარსულით, სათესლე ასომარცვლებით...

ელვის თვალის ბრიალით! ღრუბლების რღვევადრიალით!

ქალი ნიშნავს არაბულად მშობელსა და მშობიარეს, ქართულად – თუ გადაკრუხდი, რაღას მოიშობიარებ...

კუბოსაფლავდაკარგულს! უხსენებლს რო გვიხსენებ!

ბოლშევიკების ბადიშნი! საშინელნი დასაშინნი!

ვარ მყარი სიტყვის საყადარი! ქართულ ლექსისთვის თავმკედარი!

ნათლისსვეტად ენთებოდა, ცათა მიღმა მალდებოდა...

სამუდამოდ თენდებოდა, აღარასდროს ღამდებოდა...

ადამი კი არ შემცდარა, დედაკაცი შეცდა, დანაშაული ჩაიდინა, თუმცა-ღა ვადარჩება შვილების შობით.

ქალი ნიშნავს არაბულად მშობელსა და მშობიარეს, ქართულად – თუ გადაკრუხდი, რაღას მოიშობიარებ...

ვაბიჯებ ბურჯი ნაბიჯით! გამრჯე მარჯვენით და ნიჭით!

ვჭიხინებ სიტყვის ტაიჭით! ჭკუით ჭაკივით არმიჭირს.

სუყველამ ჭირი მომსჭამოს უტვინო სიტყვით, ჭაკ ნიჭით. თუ სიტყვა ზედლიერია!

„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრისა“...

ბოლშევიკების მოღუბნი! ყოველგვარი მორჩილებით.

„ღმერთმა დაანება არა ღემოკრატია, არამედ მოხარქია. აღავლენს წმიდა“...

ხმა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

ეთანხმება რუსთაველი გუჯართი და სჯულისმდებლად.

ყველა ავსული! ავთვალი! მართალთან არამართალი, სიტყვასთან არამართალი...

უნალოდ წყალწაღებულნი, წყალს მიჰყვებიან მკვდარსულით...

საქართველოს მწერალთა კავშირი

16 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის გადამწყვეტილებით და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მთავრობის დაკრძალვის საქართველოს სახალხო პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯანსუღ ჩარკვიანი.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა მაცვალა გონაშვილმა. გამოვიდნენ: მიხეილ გიორგაძე, რევაზ მიშველაძე, ბალათერ არაბული, თაკო ჩარკვიანი, ერეკლე სალიანი და სხვები.

7 ნოემბერს მწერლის სახლში მოეწყო გიორგი სოსიაშვილის წიგნის „ნათლის გვირაბი“ პრეზენტაცია. საღამო გახსნა რევაზ მიშველაძემ. სიტყვით გამოვიდნენ:



ვიდნენ: სოსო სიგუა, ბალათერ არაბული, ზაალ ბოტკოველი, მურმან თავდიშვილი, ალექსანდრე ხორბალაძე და სხვები. დასასრულს, გიორგი სოსიაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

20 ნოემბერს, 5-00 საათზე, საქართველოს მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) გაიმართა 1942 წელს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით დაპატიმრებული და დახვრეტილი 25 წლის ახალგაზრდა პოეტის გიორგი ძიგვაშვილის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო საღამო.

შესავალი სიტყვით გახსნა რევაზ მიშველაძემ. გამოვიდნენ: მაცვალა გონაშვილი, სოსო სიგუა, თეიმურაზ ჩალაბაშვილი, ნომადი ბართაია, ბადრი ქუთათელაძე, ეთერ ზარიძე, შალვა საბაშვილი,

ზაალ ბოტკოველი, ამირან ხეცაძე, ლადო სულაბერიძე, გიორგი ძიგვაშვილის ძმა სულიკო ძიგვაშვილი და სხვები.

დასასრულ რევაზ მიშველაძემ წამოაყენა წინადადება დაბადების 100 და გარდაცვალების 75 წლისთავთან დაკავშირებით გიორგი ძიგვაშვილი სიკვდილის შემდეგ მიღებულ იქნას მწერალთა კავშირის წევრად.

წინადადებას მწერლებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

17 ნოემბერს ვანში გაიმართა ტრადიციული „გალაკტიონობა“. ამ სახალხო ზეიმს პოეზიის უამრავი თავგანისმცემელი დაესწრო. არა მარტო ვანიდან, მეზობელი რაიონებიდანაც.

„გალაკტიონობა“ შესავალი სიტყვით გახსნა ვანის ახალარჩეულმა გამგებელმა ალექსანდრე გოგორიშვილმა.

გამოვიდნენ რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, ლევან როხვაძე, აკაკი თევზაძე და სხვები.

ზეიმი დაამშვენა ადგილობრივი მხატვრული ძალეებით გამართულმა კონცერტმა.

17 ნოემბერს ვანში გაიხსენეს 1942 წელს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დახვრეტილი 25 წლის ნიჭიერი მწერალი გიორგი ძიგვაშვილი, რომელსაც დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ხსოვნის საღამო გახსნა გამგებელმა ალექსანდრე გოგორიშვილმა.

ახალგაზრდა მწერლის უკვდავსაყოფად სიტყვები წარმოთქვეს: რევაზ მიშველაძემ, სოსო სიგუამ, ლადო სულაბერიძემ და გიორგი ძიგვაშვილის ძმამ სულიკო ძიგვაშვილმა.

ეთერ ზარიძე ბიორგი ძიგვაშვილის ხსოვნას

სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული სიმართლის მჭექარე ჰანგებით დადიოდი და კვალდაკვალ დაგდევიდა



მოსაგონარი

რამდენიმე კვირის წინ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ქართველი უნგრელოგი მანანა სალაძე. იგი დაიბადა 1946 წელს საქართველოში და აქვე მიიღო უმაღლესი განათლება. ერთხანს მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, შემდეგ სხვადასხვა დროს ცხოვრობდა უნგრეთსა და ავსტრიაში, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლები დიდ ბრიტანეთში გაატარა, სადაც ქართული ენის მასწავლებლად მუშაობდა. უნგრეთში ცხოვრების პერიოდში იგი ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი უნგრული მწერლების იოჟეფ კატონას, იშტვენ ორკინის, მაგდა საბოს, ფერენც მოლნარის, ტიბორ დირის, ფრიდემ კარინდის და სხვათა ნაწარმოებების ქართული თარგმანები. თარგმნილია როგორც უნგრულიდან ქართულად, ასევე ქართულიდან უნგრულად და ხელს უწყობდა საზღვარგარეთ ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას.

მანანა სალაძე იყო ნიჭიერი მოღვაწე, პედაგოგი, პოლიგლოტი, თავის სამშობლოზე საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, გულითადი მეგობარი. იგი უდროოდ გამოაკლდა ჩვენს ლიტერატურულ სამყაროს, სადაც მას შეუცვლელი ადგილი ეკავა. მისი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულეებში. ღმერთმა განათლოს მისი სული და სასუფეველი დაუმკვიდროს.

მარინა ჩადუნელი, დალილა ბედიანიძე


საკუთარ მამულზე ფიქრი და დარდები. მინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდების შენებრ გმირებზე მოხდეს სწორება, რომ ჩვენმა მტერმა ვერასდროს შეძლოს ბნელი ზრახვების გამეორება.

გულანთებული სიტყვის მსახური მამულის მცველად იდექ ყოველთვის, მუხანათებმა ის არ იცოდნენ, რომ უკვდავია სული პოეტის.

შენმა სახელმა და ვაჟკაცობამ სამშობლოს ცაზე მეხად იგრგვინა, ქართული სიტყვის მეციხოვნე ხარ და უკვდავება გადგას გვირგვინად.

„როგორც ჩიტი ბაღიაში“

ისრაელში მცხოვრებმა მწერალმა იაკობ პაპიაშვილმა თავისი დაბადების 75-ე წლისთავზე კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქრით გაგვახარა; ახალხან



მკითხველმა მიიღო გამოცემლობა „ნეთანას“, მიერ გამოცემული ორენოვანი კრებული „როგორც ჩიტი ბაღიაში“ (რედაქტორი იგორ შალმანი).

იაკობ პაპიაშვილის ახალი წიგნი მთლიანად საქართველოს ცხოვრებას ეხება. ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი შემოქმედი ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემებზე დაწერილი ამ მართალი წიგნით მადლობას უხდის მშობლიურ საქართველოს და არაერთ საჭირობოროტო პრობლემაზე გამოთქვამს თავის პირუთვნელ, კომპეტენტურ აზრს.

იაკობ პაპიაშვილი ის ებრაელი მწერალია, რომელმაც ამასწინათ ივრითზე თარგმნა და მალაპოლიგრაფიულად, საკუთარი სახსრებით გამოსცა რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი „იერუსალიმი-თბილისი“. წიგნმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

განცხადება

2017 წლის 9 დეკემბერს, საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის იროდი ასანაშვილის ორტომეულის – „101 ნოველი“ – პრეზენტაცია. დასაწყისი 18⁰⁰ საათზე

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი ნოდარ ბაქრაძე და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძნობენ პოეტ მაია ხოფერიას მამის გურამ ხოფერიას გარდაცვალების გამო.

